“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (253)
იანვარი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი | ”LITERATURULI MESKHETI” | ”ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ძველ სამეფოს

აკაკი წერეთელი

სამეფოო ძველთა ძველო
დღეს სნეულო, გულის მწველო,
დაჭკნა შენი ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო,

მაგრამ თუ დრო შეიცვალა
გაცოცხლდები საქართველო!..

დავივიწყოთ ის „ნანინა“
რამაც დღემდე დაგვაძინა!
სხვა კილოზე დავამღეროთ,
თუ რომ ბედმა გაგვაცინა!

ბერო ქართლო, გულს ნუ იტეხ!
კმარა ცრემლი, რაც გედინა!...

ამდენი ხნის მწუხარება,
ნახავ, მალე გაგეყრება!..
გაიღვიძე, დროს ნუ ჰკარგავ,
თუ რომ გინდა ნეტარება!

თვით სიცოცხლე სიფხიზლეა,
გაიღვიძე, გვეჩქარება!

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?
შენი არის! ბედს გექადის!
მიეგებე, ნუღა გძინავს!..

მოემზადე, ახალი დრო
შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!

დიდებაო ძველის ძველო!
დღეს წყეულო, საეჭველო!
გულს ნუ იტეხ, წამოდექი
ნეტარების მომლოდნელო!

მოგვასწარ, რომ ვიძახოდეთ:
„ვაშა! ვაშა! საქართველო!“

„საქართველო მეოცეგანვე ცნობილი კლასიკური მიწა წყალია... ჯერ კიდევ სამი ათასზე მეტი წლის წინათ იყო მაღალი კულტურის ქვეყანა, შემდეგ მტერთა სათარეშოდ ქცეული, არაერთხელ გაჭარცხებული და კვლავ გამოცოცხლებული, აყვავებული.

კარლ კოხი, გერმანელი მოგზაური

პაქაანი სიკვდილთან

ტერენტი გრანელი

რეზო ადამია

(დასასრული. დასაწყ. იხ. NN 251-2, 2019 წ.)

„ყველაფერი მარადიულ უკუქცევას ექვემდებარება. ოდესმე ჩვენ კვლავ შეეხვდებით ერთმანეთს, ამავე ვითარებაში. მე კვლავ ავად ვიქნები, თქვენ კი – განცვიფრებული ჩემი სიტყვებით... რა მნიშვნელობა აქვს, რომ მე ვკვდები?! აკი არც რა გვაშორებს და არც გვაახლოებს ერთმანეთს; რადგანაც ყოველი მომენტი უკანვე შემოიქცევა, ყოველი წამი მარადიულია“. ***ფრიდრიხ ნიცშე***.

მოულოდნელი, ურთულესი ნიჭის და ბუნების გრანელი ასე გრძნობდა ყოველივეს და ამდაგვარად დარჩა სივრცის მეხსიერებაში, რომელიც ჩვენ ზოგჯერ სევდიან ხელოვანთ, წყალობად მოგვეწოდება და გულღიად ვამხელთ. ყოველივე ეს, არაა მოჩვენება ან გამოგონილი, მხოლოდ სიმართლე და ეროვნულ-სივრცობრივი რეალობაა – იდუმალებისა, რომლის ტყვე, ან გავლენის ქვეშ ვიმყოფებით მუდამჟამს. მეგობრებო! სიცოცხლე, უხილაობიდან ხილულში საოცარი მოქმედებითი გადასვლაა, რომელზეც ნიგნები შეიძლება დაიწეროს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ყოველთა მკვლელი მიუწვდომელი ფუნქციისაა და ხშირად ბრმაც. აქაც უთანაგრძნეთ სამყაროს, ვითომდა რიგით, მაგრამ ძალა-უკიდურეს გამოკვეთილ უზარმაზარ ფორმას... იტყვიან, რაზე უნდა გეცოდებოდეთო უკუნეთ ბნელეთური; პასუხი შეიძლება ასეთი გავცეთ: ჩვენ რაც გინდ ცოდვილნი ვიყოთ, მასზე ბევრად კეთილნი, მოსიყვარულე, ზნეობრივად მაღალნი და მართალნი, ყოველთვის ვიქნებით და ვართ – სიცოცხლე!..

სამყაროსეული იდუმალების მოსეირნე, მიუწვდომელი ხმა, რომელსაც ტერენტი გრანელი განმარტოებისას მოცარტივით რომ ისმენდა, არ იწერება სიტყვიერად, მუსიკალურად ვერ აუღერდება და ფერწერის მეოხებითაც არც იხატება, აბსტრაქტში იქნება სიურეალიზმში თუ ფერთა პირველად-საწყის საიდუმლო ხაზ-ფორმათა ფეთქვაში. სხვაზე მეტად ზეენარულ განსაკუთრებულ-არაჩვეულებრივი მხოლოდ გრანელს შეეძლო შინაგანად ესმინა და უკიდურესად მწვავე სურათ-სახეებად აღექვა... აქედან გამომდინარე, მისი კოლეგები და უახლოესი პიროვნებები ვერ უგებდნენ და მძიმე უცნაურობებში ახვევდნენ, რითაც, ზოგჯერ, სასტიკად ვერ იტანდნენ და ამ სიკეთეს ბრიყვულად სჯიდნენ კიდევაც.

დიადი სამყარო, სივრცის, ფიზიკური სხეულების და უხილაობის ურთულესი, მაგრამ ჰარმონიული მთლიანობაა. წარმოიდგინეთ მათგან უსაზღვრო უხილაობა, ორივეზე ბევრად უსასრულოდ ძლიერ მაღალია, კოსმოსის ნებისმიერ ვარსკვლავს მუდმივად მართავს და მათზე ბევრად დიადურია. მაგალითისთვის სიკვდილის რაობაც კმარა: უძიროდ საცოდავია მათში კაცობრიობა და ნებისმიერი ცოცხალი არსებანი. ამ ამოუხფავ ულრმესი უხილაობის წინაშე დგას პირადად ადამიანი და ყველა აღმსარებლობებიც ვერასოდეს ბოლომდე რომ ვერ ჩაწვდება მის უკიდეგანო რაობას.

ტერენტი გრანელზე თუ დამიწერია რაიმე შედარებით საინტერესო, თითქმის ღამე, ოთხ-ხუთ-ექვს საათებში მომსვლია ძილის და ჯანმრთელობის დამაფრთხობელი წარმოსახვებ-აზრები, ყოველივე მაინც სასიამოვნო იყო სრულიად განსხვავებულ ამქვეყნიურ ჩაბინდულ უცნაურობათა ფონზე.

ისმება კითხვა, რატომ მხოლოდ გრანელზე მეწერებოდა და მეწერება?! ალბათ იმიტომ, რომ ყოველგვარი შურის გარეშე, ვგრძნობ, დიდი მგოსანი ძალიან ახლოს იდგა კოსმიურ სიშორეებთან და სულიერი თუ ფიზიკური ზეწოლის ყველაზე ძლიერი მძაფრი ტყვე-მონა გახლდათ. მისმა ზეციურმა მგრძნობიარე სხეულმა, ვარსკვლავივით ანთებულმა სულმა და უკიდურესად გაღიზიანებულმა ნიჭ-გონებამ გაიარა ყოველი-ფერი, უცხო ხაზ-ფორმა, უახლოესი და უნატიფესი შეხებებით. არ დაპატარავდეთ და ნუ გშურთ ადამიანებო, მისი. პირიქით, გეამაყებოდეთ და გებრალებოდეთ დევნილი პოეტის უდანაშაულო ტყვე-მონის ტანჯული ბუნება, გრანელთან ბევრი უცხო მიუწვდომელი რამეც იყო და არის; მის მრავალფორმიან-შინაარსიან არსებას, შეეძლო მარადიულ სიშორეებთან მიახლოება და ზეადამიანური გონებით მეცნიერული ასტრონომიული სიმართლეც გაეზიარებინა. რა თქმა უნდა, ქვეცნობიერად პოეტი ხომ ამჟამად და, ალბათ, იმ კოსმოსურ მიუწვდომლობაშია, სადაც შესაძლებელია დედამიწელებზე უფრო აწიოკებულია ზე-ვარსკვლავეთური სტიქიით და ურთულესი ურთიერთობით...

გრანელის შემფასებელთა ხმა – მან მე ამანთო და სულიერად შემძრა, – რასაც ნიშნავს, საგრძნობლად შემცვალა: დიახ! უცნაურობაა...

მითქვამს და ვიტყვი – სრულიად ახალი, უცხო და ხილვებ-იდუმალ აზრების მოსვლა, ფეხმძიმე კეთილი ქალის სამართლიან ცხოვრებას მიაგავს, დიდი ტკივილებით, განცდა-შიშით, მოახლოებული საამო მოლოდინით შობა ბოლოს სიხარულ-სიამოვნება. უთუოდ სულიერ-ხორციელი ტკივილიდან მოდის ბევრი რამე საინტერესო და სამომავლოც. ქრისტიანობაც ხომ მსგავსი სახეა ყოველივე ამისა, ღრმა რწმენა, წვალებ-წამებით მოვიდა ჩვენამდე და ამჟამად და მომავალშიც მსხვერპლს მოითხოვს უსაზღვროს, რომელმაც

ტერენტი გრანელი

თავის საწყისებთან ეშმაკეული წარმართობა დაამხო. ვსვამ კითხვას – ნათელი ბნელიდან ხომ არ იშვება? აქ კი თავადვე მიძნელდება პასუხის გაცემა...

იშვიათად, მაგრამ საბედნიეროდ, არიან ადამიანები, თავის ქვეყანას და ხალხს შეწირულები, აგრეთვე ნაწილი – უფალს და ეკლესიას. გრანელი ოთხივეს ერთდროულად, უკანასკნელი ნერვის წვეთამდე გახლდათ უერთგულეს მსხვერპლად თვით მიბრძანება, რომელიც წარმოადგენდა მძიმე ჯვარს. ამიტომაც ის არ განიცდიდა მატერიალური სიღარიბის სულიერ მცირედ ზეწოლასაც, რომელიც მგოსანს მთელი სიცოცხლე თან სდევდა. გრანელი სამაგალითო და უერთგულესი ბერი იყო სიწმინდისა და ცაანკარა პოეზიისა.

შემოქმედებითი და სულიერად უმდიდრესი, მატერიალურად გაშიშვლებული, მაინც ამაყად დაიარებოდა...

ეკლესია-მონასტრებში ბევრ წმინდანად შერაცხულს შეამკობდა ამდაგვარი ნათელის გაჩენა. მათთან ერთად მიწიერ და ზეციურ დატვირთვას ბოლოს, მართლაც, ვერ გაუძლო და მარტოდ მყოფს, სიკვდილი დაეხმარა იმ კოსმოსური განუსაზღვრელი სიდიადისკენ გადასვლაში, რომელსაც მე კი არა, მგონი ბოლომდე ვერავინ ვერ მისწვდება... აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გაბედული აზრნი დავადგინოთ, რომ ყოველგვარი ზეციურ-ღვთიური, აუწონავი ტვირთია და დიდ ზნეობრივ განძ-სიმძიმეს წარმოადგენს, რითაც ნელ, წრიულ, ასტრონომიულ წვაში და კოსმიურად უახლოეს მძაფრ წიოკ-აგონიაშია. თავდადებულ დიდ მსახურ მზემნათობში უსაზღვროდ მაღალი ტემპერატურა ფეთქავს და ზეაღმატებულად ითუთქება. ვაი ჩემო „მზეო“! რა დღეში ხარ და როგორი ბედი გიწია სამყაროს უზარმაზარმა კანონმდებლობამ. სამწუხაროდ შენს მზიურ, უსაზღვრო გონებამდე ადამიანი ვერასოდეს ვერ ამაღლდება. მაცხოვარიც შენ გგავს სიკეთევ. მანათობელო!

პირდაპირ საოცრებაა, დღენიადაგ პლანეტა იწვის, რითაც ირგვლივ უსასრულო სიცოცხლე ჩქეფს...

მიუკარება მზეო! მეზობელი ანდრომედეს გალაქტიკიდან რა მძაფრი, სხივთ მტყორცნელი ულამაზეს ვარსკვლავად იხილვები, ალბათ?!

„პუბლიკა ყოველთვის მზადაა ტაშისცემით შეეგებოს ფეიერვერკებს, მაგრამ არა მზის ამოსვლას“. ***ფრიდრიხ ჰებელი***. აი, აქაა ჩვენეული გონების დაბნელება, კოსმოსს – მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს მოსწყვიტა ხედვა-გააზრება ადამიანმა და მხოლოდ მიწას დაჰყურებს: ამდაგვარ საუკუნეთა ღვთივ კოსმიურ განდგომას, რამდენიმე უნიკალური ლექცია მიუძღვნა გენიალურმა რუდოლფ შტაინერმა.

ადამიანებმა სიკეთესთან ერთად ნგრევა-ომები და ბოროტება ხომ არ მოიზიდეს კოსმოს-ვარსკვლავეთიდან? თითქოსდა უადგილო და უმძიმესი შეკითხვაა, მაგრამ...

ჩვენ, მუდმივად ცნობისმოყვარეობის მოლოდინის და სიახლეთა ხილვების ფიქრ-განცდების ზღვა-ოკეანეში ვიმყოფებით, აი და ესაა წუთისოფლის ცხოვრება სივრცისეული მოძრავი მრავალფერადოვნებით. კოსმოსის მუდმივობაში არსებულმა განუსაზღვრელმა მეხსიერება-სიცოცხლის უხილაობამ, ეტყობა მძიმედ დაუშავა სამყაროს მთავარს, მან კი კანონიერად დასაჯა ის გარკვეული დროით და მეხსიერება ჩაასახლა ხორციელად გარდაქმნილნი. დიდი გამოცდა წვალების პლანეტაში არაა გასაკვირი ასეც რომ იყოს... მერმე ურყევად დაკანონდა: წვალებით და უღარიბესად დაიბადოს (უსასრულობიდან არაფერი გაჰყვეს). მიწიერი სასჯელის მოხდის შემდეგ გამოეთხოვოს სამშობლო- პლანეტას და მერმე გამოცხადდეს სამყაროს უზენაესის წინაშე ისევ გარდაუვალი წამებით, ტკივილებით, განცდებით, უღონო შიშველ-გაძარცული და უძლური და კვლავ სივრცის მეხსიერებად დარჩეს... დაახლოებით ამდაგვარი უკიდეგანო გარემოს ცვალებადი წესრიგის წინაშე ვდგავართ აწ, მოვლენილი ადამიანები...

„სად ვიქნებით სიკვდილის შემდეგ? სადაც არიან ჯერ არშობილნი“. ***ლუციუს ანეუს სენეკა*** – აქაა გამჟღავნებული ადამიანთა სივრცობრივი ფორმა უხილაობისა.

როდესაც მგოსნის ირგვლივ ქვეყანა ნიღაბასხმული დაიარებოდა და დღენიადაგ დადის, ტერენტი გრანელი სულ-გულ-გონება გახსნილი კოსმოსივით იერმოშშვლებული და ნიავივით სუფთა ხატული დაბრძანდებოდა ხოლმე და კიდევაც მთელი სოფლის თუ ერის ავ-კარგი სიდუხჭირე სევდა-ურვა თუ შეჭირვებულობის ფორმები უნიღბოდ ტრიალებდა მართალი მგოსნის ალალი ინსტინქტის წარმოსახვათა სულში და გონებაში, ყოველივე ეს თითქმის სტიქიური წვალების მომგვრელი იყო, შედარებით მოჩვენებით სრულიად თავისუფალ სივრცეში.

უსასრულობის და კოსმიური უხილაობის სამყაროს უბეში იწვის მზეები და გაუთავებელ ცეცხლის ალში იდაგება, ხოლო საშუალო, პატარა თუ გიგანტი პლანეტები უსიცოცხლობისგან გულმძიმედ მდუმარებენ და სხვა მანათობელ ვარსკვლავებზე და მზეებზე არიან დამოკიდებულნი ყოველივე კოსმოგენურ ჭეშმარიტს, იდუმალ ზეციურს გრანელი ზემგრძნობიარებით კოსმოსცნობიერებით უმწვავესად გრძნობდა და სევდის მომგვრელ პოეტურ საკვირველებად განიცდიდა, რითაც იბადებოდა პოეზიის შედევრები.

პლანეტებს მოჩვენებითი ნიღბები არ გააჩნიათ და ნებისმიერნი კოსმიურ სივრცეში რენტგენულ-მაგნიტური ზეგავლენითი მოძრაობით პირისპირ წმიდად გახსნილები არიან.

ადამიანი ათასობით და მილიონობით წელია თანმიმდევრულად თავის გონებრივ-ფსიქოლოგიურ და სულიერ პორტრეტს გამორჩეული გენიით ხატავს, ძერნავს, აქანდაკებს, ქმნის კულტებს და შეუჩერებლივ ეძებს თავის ნაღდ სულიერ-შინაგან ფსიქოლოგიურ მართალ ნატურას და, საერთოდ, რაცაა მოძიებულ-მიგნებული ქვეყნად არსებულის რელიგიებიდან, მეცნიერებიდან, ფილოსოფიიდან, ხელოვნებიდან და უკეთური სიბინძურიდან დაწყებული, ასევე მრავალი შეუსწავლელი საოცრებების ჩათვლით ყველაფერი თვითონაა თავად, რაც კოსმიურმა ზეძალამ სტიქიურად თუ გენეტიკურად თანდათანობით ჩაღვარა მასში და პარალელურად ყოველივეს მოძრაობა ღრმა შეჭირვების მომგვრელია გარემოში და მისთვის, რადგან მათგან აღვსილი საშინელი და ურთულესი ფორმები უმწვავესი ტრაგიკული ურთიერთწინააღდეგობებითაა სავსე... საბედნიეროდ ქვეყნად ნათელ პარალელურად, მრავალი ბუნებრივი სიკეთე დადის და ივლის, ხოლო მათში გარკვეული ნაწილი მხოლოდ ნასწავლი მითითებებით არსებობენ, რომელნიც ბეწვის ხიდზე გადიან...

თქვენზე მინდობილი ჩვეულებრივი და თავისუფალი მწერალი, ამდაგვარ აზრებს რომ ვამხელ სიმწრის წნეხში მომწყვდეული უღონოდ ვწრიალებ და რატომღაც სიკვდილზე ფიქრი, დარდი და შიში სიამაყით მიქრება; რათა ყველგან მყოფი ჭეშმარიტება პირადულსაც გაპოვნინებს, ანუ უფრო გააქტიურებულ აზრთა ძიებ-მცდელობაში ხარ...

უიმედობის უკანასკნელი ღამეა სევდაჩაძირული: ტერენტი სარებო, რა ხდებოდა, რა სასწაული! ამ დროს გრანელის, ფილოსოფიურ-პლანეტარიუმის დანისლული სიცოცხლე-სიკვდილის ვარსკვლავთ სხივებით განბანილმა ლექსებმა, მართალ, მარადიულ შემოქმედებით დამოუკიდებლობას მიაღწიეს და მიწიერიდან განიწმინდნენ ყოველთა მიმზიდველ – წმიდანის სულიერ პლანეტარიუმის სულმხურვალე პოეზიად. ეს ყველაფერი ხდებოდა დროის და სივრცის სასწაულებრივსა და მიუდგომელ ქმედებაში. იმ დღეს, დაუდგენელი მიმართულებითი ცხელი ქარი ამოვარდა თურმე და მრავალთ გუნება აუფორიაქა. გაკვირვებული, ღრმად განსწავლული ასტროლოგები ასე ხსნიან, – ვარსკვლავების მოძრაობამ არეული მოქმედებით ზენიტს მიაღწიაო და უთუოდ ვიღაც გამორჩეულ პიროვნებას გენეტიკურად შეეხოო პლანეტების ამდაგვარი გადაადგილებები თუ კოსმიური ჭარბი და ვრცელი ბუნებრივი ემოციებიო...

კეთილო მკითხველო, ნდობით მოგმართავთ, ყოველივე ამას შეთხზულად თუ წარმოდგენით არ ვწერ, ამავ დროს მეორედ ვცდილობ ღრმად დავასურათო, რომ ნამდვილად აგრე მომხდარა და მომსწრეების თუ მომგონებელთა ფაქტ-მართალი გადმოცემებიდან ვსარგებლობ. მსხვერპლდაავადებითი მგოსანი ამქვეყნიური განცდებწვალების მქონე, დამატებული უკეთური თანამემამულეებისგან მიყენებული წამება, მტრული დაუნდობლობა, შეურაცხყოფა, დევნა, შური და განწირვა, აი რა სახის უბედურებები დევნიდა ისედაც ავი დროისგან ფიზიკურად თუ სულიერად განადგურებულსა და უსაზღვროდ განმარტოებულ პოეტს. უმეტესობა, ჩვეულებრივი ადამიანებისა, ამქვეყნად მიახლოებით მაგდაგვარად ცხოვრობენ და არსებობენ, მაგრამ გარემოსათვის ნაკლებად შესამჩნევ მნიშვნელოვანია; ხოლო მოწოდებით ხელოვანთა, განსაკუთრებით პოეტთა, მწერალთა, ფერმწერთა, მოქანდაკეთა, არქიტექტორთა, მეცნიერთა და კომპოზიტორთა შემოქმედებითი ცხოვრება სრულიად სხვაა, რადგან ღმერთი და უშუალოდ ვარსკვლავეთია მათში მთავარმოქმედი და ზესამყაროსეული, მრავალშინაარსიანი, დიადურ-ბრძნული გამოსხივება გამოდის, რომელიც ჩვენ კი არა, უსათუოდ საუკუნეებს და ათასწლეულებსაც სულიერ-გონებრივ მკურნალად წვდება.

თბილისსა თუ სრულიად საქართველოში, ჩემთან ერთად, მრავალი ადამიანი მძიმედ განიცდის ტერენტი გრანელის გრძნობა-განწყობილებით მოწამეობრივ შემოქმედებას. პირადად უფალს შევთხოვ, სულიერად შემიმსუბუქოს ამ ფორმის თუ სახის დაუოკებელი განცდები...

დევნილ-შეწირულის და განგებ შექმნილი ტრაგედიის მეორე დღეს მედდამ, ახლად მოსვენებულ მიცვა-

ლებულებში, მოულოდნელად იცნო გრანელი და იქვე მყოფთ შეატყობინა, ეს კაცი ხომ მარტოხელა, მიტოვებული პოეტია? თბილისის ღამის ქუჩების და სასაფლაოების ხშირი სტუმარი?! მერმე ჯვარი რომ აღმოაჩინა გამხმარ-სისხლიანი, გაუკვირდა, მიცვალებულს ჭრილობის კვალი არ აჩნდა სხეულზე, არც დაბეჟილობისა. შეიძლება მოწამლეს, მაგრამ სისხლი საიდან? როგორ? ჯვარი პატიოსანი განწირული პოეტისა ისევ დააბრუნა თავის ადგილას და ალალი ცრემლები მოიწმინდა. კეთილ-მედდას, ახალგაზრდა გოგოს, შეეცოდა და გააკვირვა ბედით უცნაური მგოსნის ამდაგვარმა ტრაგიკულმა და უპატრონობის შემზარავმა სურათმა.

მედდის მბრძანებლურ-თხოვნითი დაბალი ხმა გაისმა: მიცვალებული მხოლოდ სასვენიაში გაამწესეთ და ახლავე ვაცნობოთ მწერალთა კავშირსო...

პოეტის უმანკო სისხლით განბანილი ჯვარი მიაცილებდა უკეთურთაგან, ყველასაგან გაქცეულ დევნილს და ურწმუნოთაგან მიტოვებულ გრძნეულს...

ახლოვდებოდა ამ ქვეყნიდან ტერენტის მარადისობაში გადასვლის დრო-წუთები და თბილისის მიწასთან მიბარების კოსმიური მიუკარება საწყისი. მრავალჯერ ნახმარი და დეფორმირებული ფანერის კუბოში ჩასვენებულს, მხოლოდ ცამეტი ადამიანი მიაცილებდა. წინ პატარა ბიჭი დიდი ხის ჯვარით და თორმეტიოდე, ოჯახებიდან გამოქცეული თუ ქუჩის მოხეტიალე, მშვიდობიანი მდუმარე ძაღლი ადევნებოდა მათ; ქრისტიანულ უღარიბეს პროცესიას, მხოლოდ უძირო სევდა და უახლოესი დების გლოვა-მოთქმა ჭარბობდა ყოველივეს. მოხუცი მოძღვარი კი გაკვირვებული მიუყვებოდა ამ დევნილ განდეგილობას. სამი თეთრი მტრედი კი, მათ თავს დასტრიალებდა.....

„ცხოვრება ისე ამაზრზენია, რომ მისი ატანის ერთადერთი საშუალება ესაა: უნდა გაექცე“. ***გუსტავ ფლობერი.***

მიწად მიბარებულს რამდენიმე უპატრონო, მოწყენილმა ძაღლმა მთქნარებით ღამეც უთიეს პოეტის კაცთაგან მიუკარება საფლავს და, თითქოსდა, დაისვენა ყველამ ქვეყანასთან ერთად. მხოლოდ მგოსნის ლექსი და დრო სამუდამოდ დაუმეგობრდნენ ურთიერთს...

რა გააჩნია გაუთვითცნობიერებელ უხილავ ბედნიერებას და, დღეს, გულცივი მესაფლავეებისაგან გოლგოთას მიმსგავსებულ საფლავზე მიყრილი, ქვაღორღიანი მიწის გამაყრუებელი ბაგაბუგ-ბრაგუნი არ გაუგონია მგოსანს, მხოლოდ ნერვიული, უხილავი, მოშინდისფრო, უწვრილესი ხაზები სერავდა ყოველ კუთხე-კუნჭულს.

არიან დიდი პოეტები და მწერლები, რომელნიც შედევრებს საკუთარი სისხლით ქმნიან, მაგრამ მათგან გამონაკლისნი, უფრო სულ-ნერვიოთაც წერენ გახურებულ სისხლთან ერთად დაბადებიდან შეწირულნი! რომელიც, საერთოდ, ხელოვნებაში უიშვიათობას წარმოადგენენ... მაგდაგვართ, მხატვრებიდან რამდენიმეს დავასახელებ: მიქელანჯელო, ვან-გოგი, სეზანი, რენუარი, ფიროსმანი, სუტინი და მოდილიანი...

თქვენთან ერთად, ცხოვრებასთან სულ სხვა ფორმის შეხვედრა გვაქვს. ბევრნი ბუნდოვნად, ფსიქიური შეტევებით იგუდებიან და სულიერ ტკივილს ვერ გრძნობენ, ხოლო უზომოდ აღტყინებული ტერენტი გრანელი, უკვე ჩასვენებული, მზის შემდგომი მუქი, ცისფერ-შინდისფერი გახდა და მძიმედ დამარცვლა: მართლაც მებრალები, სიკვდილო! ჯერ ერთი და, ვერავინ ვერასოდეს ვერ გაგიგებს. ამ დროს მოუსვენარმა სიკვდილმა შავი ფერი მიუვალ უკუნეთად იცვალა და ტერენტის ეხრინწიანება: – მარტო არა ვარ, პოეტო! მე მყავს ურთულესი ფუნქციის და სიღრმის ფუნქციონერები, რომლებიც წინასწარ მრავალმხრივ სამუშაოებს ასრულებენ. მათგან ზოგი უცაბედად და ხშირად სხვადასხვა ავადმყოფობებით ამწიფებს ჩემს გამოცხადებას. ხოლო სიბერე შედარებით ხანგრძლივი ფუნქციაა მოულოდნელი დასასრულით, უფრო მეტად ვისტუმრებ ავადმყოფობებით, ომებით და უბედური შემთხვევებით. ყოველივე ეს ადამიანის, ჩემთან ერთად სამყაროს და, ცხოვრების უტეხი კანონია, ამ მხრივ სხვა სამოქმედო სივრცე არ არსებობს, რომელსაც თქვენი ღმერთებიც ვერ შეცვლიან: ჩემს ბავშვობაში, მოხუცებისგან გამიგონია: სიკვდილმა თქვაო, მე მოვკლავ და თქვენ რაც გინდოდეთ, ის დაარქვითო.

დიალოგი გრძელდება: ქვეყნიერების მიმდინარე დრო კი, ჩემზე არანაკლებ სასტიკია და ისიც ხელშემწყობი გარდაუვალობაა ჩვენში, უფრო უკიდეგანობის გარდამავლობაა აუცილებელი ბრუნვით, რითაც სიახლის აღვლენით ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი ვართ. მგოსანმა პასუხად მიუგო: აი ამიტომაც დადუმებული ვარ, კი არ მეშინია და მეზიზღები, უსასრულო ძალავ, მე არც მიკვირს შენი იმ, ჟამიანი ჩასაუკუნეთური ფერისა. უკუნეთი მიმართავს: გარდამავალო ტერენტი! ყოველი სამყაროსეული საიდუმლო სისტემა ბნელია. ჩვენ ხომ ნებისმიერ პლანეტებთანაც პირდაპირი საქმე გვაქვს მუდმივად. ისინი თუმც გიგანტებია, მაინც თქვენნაირი უსუსური ელემენტებია ჩვენთვის. ოღონდ მათი ხნოვანება მილიონობით წლისაა. თქვენი კი მოკლეა, პეპელასი არ იყოს. უთუოდ უფორმო და უხილავი სამყაროს უკვდავების საშოც ვართ. ხომ გეუბნები, ადამიანები კიდევ დიდ დროს ვერ გაერკვევით ამ მოვლენებში. წადი ეხლა, იმქვეყნიური მომავლის შვილო და მოულოდნელად წამოგენევი, მეტი არავითარი შეღავათი არ ძალმიძს... უფრო შედი ღამის სიღრმეში, შეეჩვიე მარადიულ სიბნელეს – უკუნეთს, მე კი ჩემეულად მოგყვები; ხოლო იცოდე: შენი კოსმიურ-პლანეტარიუმის მომავალი მე არ მეხება...

„ჩვენ არასოდეს არა ვართ ბედნიერნი: ჩვენი ბედნიერება მხოლოდ უბედურების დუმილია“. ***ჟიულ რენარი.***

ძვალ-ტყავად ქცეული, თავჩაქინდრული, თმებჩამოყრილი, დაღონებული და სევდით სავსე ტერენტი აწეწილ-აფორიაქებული ფიქრებით, ბრმა სიბნელეს შეერწყა და ადუდუნდა: როგორ მინდა ჩემს უღარიბესსა და ჟამიან გასვენებას მეც დავესწრო, რომელიც მალე შედგება და შემდგომ ახალ, ქვაღორღიან, მიწამიყრილ საფლავს დავხედო, დაღონებული და უმწეო ვარდ-ყვავილებით ღარიბად მოფენილს, სადაც შავებში გამოწყობილი განუყრელი მუზა, მდუღარე ცრემლებით დამტიროდეს იქნება...

უკვე მთლად მისუსტებული ტერენტი ბარბაცით დაიძრა და დროომ (დრო უხილავი და უძლეველი, რომელიც სიკვდილისა არ იყოს, ყველაფერს ერევა – აბერებს და შემდგომ ჩვეულებრივ განმჩინებელს გადააბარებს) მგოსანი მკვდარი შეახვედრა ადამიანებს: მათ შორის ბრიყვებმა გაიხარეს, – რაში აწყობდათ უპატრონო პოეტის დღემოკლეობა, ეს მხოლოდ ეშმაკმა უწყის.

ჩემეული ანალიზით, სიკვდილს ჩვენ ცუდად ვიცნობთ და მხოლოდ გაშმაგებით ვებრძვით მილიონი წლებია, უძველესი ცივილიზაციებიდან მოყოლებული, მეცნიერებით, მედიცინით, ხელოვნებით, ჯადოქრობით, მოგვებით, ქურუმებით, საფლავ-სარკოფაგებით, მუმიებ-პირამიდებით, ღმერთებით, წინასწარმეტყველ-ანგელოზებით, მოციქულ-წმიდან-პატრიარქებით, პაპებით, მეფეებ-იმპერატორ-გმირებით. პლანეტის ერთობლივი გენიითაც, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ქრისტიანულმა ეკლესიამ კი შეუტია მთელი ძალებით, და მხოლოდ ჩვენს დასაიმედებლად მკვდარი გარდაცვალებად გარდაგვისახეს, სხვა სახება ხომ რთულდება და მიუწვდომლობის ლაბირინთები უფრო მეტად ბუნდოვანდება. სიკვდილმა და დრომ (ორთავე უმკაცრესი და ულმობელი ფორმაა) უთვალავი პლანეტები ჩააქრო ათასწლეულებში უძლეველი და უძველესი ღმერთებიც წარსულში გადაგზავნა. სამყაროს სიღრმეებიდან, საბედნიეროდ, ახალი რელიგიები აღმოცენდა.

მგონი ყველაზე მართალია, მიცვალებულის შიშველ მიწაზე უშუალოდ მიბარება და არა წვალება სხვადასხვა გზით...

როგორც ვთქვით, ცოცხალი არსების მოკვდინებით ორსულდება სივრცე არსებული – რაც ქვეყნიურ საოცრებაზე მეტია, მერმე კი, ისევ მშობიარობსო, მეცნიერნი ასე იტყვიან. კითხვა: სიკვდილიც ხომ არ მონაწილეობს მისგან მოკლულ-შობილის მერმე ცოცხალ არსებათა ჩასახვაში? დიახ, სიკვდილით ნაშობი უხილავი არსება, უცილოდ დიდი დროით არსებობს შორეულ თუ უახლოეს სივრცეში, რომელთაც უსასრულობის მეხსიერებაში მოიხსენიებენ, შემდგომი ჟამი რომ მოაღწევს ამა თუ იმ ქალის თუ რომელიმე მიწიერი არსების საშოში ჩასახვისა. ალბათ, ამდაგვარ სივრცობრივი სავსეობიდან ჩაეგზავნება და ესაა სამყაროსეული, ჯერჯერობით ჩვენთვის შეუსწავლელი, მაგრამ მიახლოებითი, უნიკალური უკვდავების პროცესი, სიცოცხლის გაგრძელების და უხილაობის ფასდაუდებელი, მარად უწყვეტი კოსმიური კავშირი. სიკვდილი თუ შობს სიცოცხლეს, ანუ სამყაროში სიახლის შექმნის ერთ-ერთი კოსმიური გლობალურ-გარდამავალი მექანიზმთაგანია, მაშინ ის, დადებითისკენ გვაფიქრებს... მეც, ჩვენგან და ყოველ არსებათაგან უსაზღვრო სიძულვილის გამო, უდანაშაულო გველისა არ იყოს, თავდაცვისას მასში არსებულ სიკვდილს აღვიძებს და იხმობს, მკაცრად აძლიერებს, აამოქმედებს და ქვეწარმავალი სიკვდილისეული არსებად გარდაიქმნება, მაგრამ გონ-მარტივად ჩავიხედოთ ჩვენს ბუნებაშიც – უმეტესობა ადამის მოდგმისა ხომ სიკვდილის მთესველ-გამმეტებელია: ძალათ სიკვდილის მოწვევა და განვრცობა, ეს უკვე ზედანაშაულია და თავისი მოქმედებით უბოროტესი ფუნქციებისაა. სრულიად მართებულად მგონია, – გრანელი მოკლეს, რადგანაც, მართალი, გაბედული და თავდადებულ-დაუოკებელი, მაღალი ნიჭიერებიდან გამომდინარე, საგიჟეთშიც ვერ მოთოკეს და იძულებულებმა საბოლოოდ მკვლელს მიუგზავნეს. გაკვირვებულმა სიკვდილმაც ფერი იცვალა და არგაგონილი პაემანი დაუნიშნა თვისტომთაგან გამეტებულ მგოსანს; ამ შემთხვევაშიც სიკვდილი შესაბრალისია, ის, თითქმის ზნემიუწვდომელი ბოროტება, ხშირად გარემოს ბრმა მორჩილია და არღვევინებენ ქვეყნიერების და მისეულ, მარადიულ კანონებს...

„მხოლოდ მნუხარების ცრემლებში ირეკლება უკეთესი სამყაროს ცისარტყელა“. ***ფრიდრიხ ჰებელი.***

როდესაც ვამხელთ მგოსნის გაუგონარ პაემანს სიკვდილთან, ამ დროს უფალთან მორიდება და მორჩილებითი თავმდაბლობაა საჭირო, რადგანაც მგოსანი შემოქმედებაში ღმერთის ენით მეტყველებს, მაგრამ სიკვდილი მაინც უმკაცრესია, სამარეზე უფრო ცივია და კოსმიური გამყინვარებითი აფეთქებაა. იშვიათად ან, საერთოდ, შემოთავაზებულს არ არჩევს, არც აპროტესტებს და გამძვინვარებული, მარტორქასეული თავდასხმითი შემსრულებელია – პირდაპირია და უკიდეგანობის ყველგან მწვდომი სხივივით გარდაუტეხავია. ამ შემთხვევაში გონებრივად ძლიერ თუ ავმაღლდებით და ისე დავაკვირდებით სიკვდილს, მართლაც რომ მრავალმხრივი გააზრებ-გაანალიზების ღირსია...

უსულო და უგონო სიკვდილი! განუსჯელად ჯვარს გაკრულ წამებულ მაცხოვარსაც ეახლა და... შორსმწვდომი მკვლევარები შავსხეულა, დაუდგრომელს, ჩვენსავით ამართლებენ: იესო ქრისტე ხომ ტანჯვის მომგვრელი ტკივილებისაგან იხსნაო...

გრანელს უძლიერესად ჰქონდა განვითარებული გარემოს ინსტინქტ-შეთვისების ორგანო. მგოსანი ფიზიკურად და ფსიქიურად დროთა ჟამში რამდენადაც უფრო სუსტდებოდა, მისდა საპირისპიროდ, მასში, სათუთი სალოცავი, ტაძრისეული სულიერი ნატიფი აღმატებულობა მატულობდა, რითაც მოუსვენარი იყო და შეუწყვეტლივ უკიდურესობაში მყოფი ვარსკვლავეთ-მიცვალებულთა საფლავებში ეძიებდა, რასაც ირგვლივ რეალობაში ვერ პოულობდა, მაგრამ...

მოვიხმობ სითამამეს და ვიტყვი, უთუოდ მრავალზე მართალი, გაბედული და პატიოსანი მგოსანია გრანელი, ქვეყნიური ზნეობრივ მიუწვდომლობათა წვდომა-გლოვაში...

ხშირად მიფიქრია, დროულად, მართლაც ხომ არ უშველა სიკვდილმა ტერენტი გრანელს?! სამყაროს და ვარსკვლავეთის მგოსანზე, ამდაგვარი კითხვის დასმა, მგონი, შესაძლებელია, რადგანაც ახლოვდებოდა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი წელი...

ნაწყვეტი უკანასკნელი პაემანიდან: სიკვდილო! შენ რომ გიყურებ, მინდა გავიღიმო; მიმართავს მგოსანი თითქოსდა ყრუ შეუსმენელს. ჩემს წინაშე ჯერ არავის უსიამოვნია და, შენ რა?! ვითომ არ გეშინია? – შეიძლება საბოლოოდ შეიგრძენი ის ურთულესი კოსმიური საიდუმლო დანიშნულება, რომელსაც უმწვავესი შედეგი რომ მოაქვს. თუმცა ადამიანები ყოველივე ამას ბოლომდე კიდევ დიდ ხანს ვერ ჩაწვდებით. შესაძლებელია ნარმოუდგენელი მომავლის ცივილიზაციის შედეგად ნაწილობრივ გაერკვეთ – მე თუ, რამხელა უკიდეგანოდ ფართო და სიკვდილ-სიცოცხლის აუცილებელი ფუნქციებისა ვარ, რომლის ახსნა ამჟამად უშედეგო იქნება. თუმცა უნიჭიერესი და მგრძნობიარობით ზეციურობის გაგების ხარ – უფრო რომ მიისწრაფი, პლანეტარიუმის ურთიერთობის საიდუმლოებათა სიღრმეებში. რადგანაც ამ მთავართან მიუწვდომელი ბრძანდები, ამიტომაც წვალობ დღედაღამ. კარგად ვიცი თქვენი მაცხოვარიც ამ საკითხზე შორეულ სამყაროშიც ფიქრობს, მაგრამ ჩვენ, ანუ მე, სრულიად განსხვავებულნი ვართ ყველასაგან და ზოგჯერ ჩვენივე თავისაც გვიკვირს...

ქმედებით უკიდურესო! ყოველი ამქვეყნიური, ცხოვრების შემოქმედებითი გზები გამიუბედურდა და დაუნდობელთაგან გადამეკეტა, მხოლოდ შენსკენ მიმავალ, უკანასკნელსა და უმძიმეს გზათა ფიქრებს შევრჩი. და ამჟამად ნამდვილად ხდები ჩემი მხოლოდ უკანასკნელი პატრონი. უშენოდ ვერც კოსმოსში ავალ და მიწასაც ვერ ვეახლები. დადებითია, მრავალთან შედარებით დამყოლ-მიმნდობი რომ ხარ, დადუმებულო მსხვერპლო! იშვიათად შევხვედრივარ შენისთანა გამბედავ მორჩილს: მიუგო გრანელს სიკვდილმა, მერმე დადუმდა და ირგვლივ რატომღაც უფრო დაბნელდა... უბედურების მომტანმა ისევ იჩინა თავი და, ხო, ერთსაც გეტყვი, უკვე ჩვენთან მყოფო სივრცისეულო, შენი მოდგმისანი უფრო ხშირად თავისი თავის და ჯიშის მტანჯველად და წამებისთვისაა გაჩენილი. დღენიადაგ რატომღაც ღმერთსაც არ აძლევს მოსვენებას და აწვალებს; უთუოდ ნებისმიერ გვერდში მდგომ უახლოეს პიროვნებასაც უმეტესწილად ვერ იტანს, ხასიათი აქვთ უხიაგი, მრავალი ციური ბრაზიანი პლანეტებისა არ იყოს, მაგრამ იქ ბევრად უფრო შენარჩუნებულია მათი კანონ-ჰარმონია, ვინემ თქვენთან, ვითომდა ღვთის სახიერნო!..

გრანელმა, უკანასკნელი პაემანისას, მეორედ შესჩივლა დიდ მსაჯულს: დედამიწელებმა – ჩემიანებმა, სიკეთე ქვეყნის სიყვარულისა და პოეზიის ნიჭის გამო, აღარ დამინდეს, მომავლის იმედად მხოლოდ ვარსკვლავეთი დამრჩა, რომელზეც შესაძლებელია შენც გეშინია; პასუხი არ მიუღია გრანელს და ბნელი ისევ უფრო მეტად ჩაქრა... მერმე არამიწიერი ხმა გაისმა განწირული ძახილისა: მე, როგორც პოეტი, სიკვდილს არასოდეს ვეძებდი, მაგრამ უმაგისოდ კოსმიურ-მიწიერი ცვლილებები თუ გაურკვეველი ქვეყნიური სიცოცხლის ურთიერთობათა პროგრესი არ ხდება, თურმე!!!

მაგ საშინელ ძალას განუწყვეტლივ მაინც ვებრძვით, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ამ დროს რაღაც უცნობი სამყაროსეული ხმა ჩაგვძახის, შეისმინეთ, რომ სიკვდილ-სიცოცხლე განუყრელია თავიანთი მუდმივი შეურიგებლობითაც და იძულებულნი ხართ ქვეყნიერების კანონით ეზიაროთ ამ სამყაროსეულ ამოუხსნელ შავ და ფერადგვირგვინოსან უძლეველობასო! გმირგულოვანი მგოსანი, შეეცდება, სიკვდილის ავლით კოსმოსს ეახლოს, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, თურმე, მანამდე, სანამ ადამიანი უხილაობად არ გარდაიქმნება...

კაცთაგან განადგურებული ტერენტი დამოუკიდებელი სულის ნათებით გზას მიიკვლევს ბნელეთისას, მაგრამ უკვე უკიდურესად გაღიზიანებული სიკვდილი ყინულის ლოდად მისდევს და უმალ ყველაფერს აქრობს – უმთავრესს – სიცოცხლესაც: შემდგომ საოცრებითი განცვიფრება; გრანელის წინაშე იფეთქა მრავალპლანიანმა სხივ-შუქმა და განსხვავებული სიახლე-ხედვით წარსდგა ოცნება ვარსკვლავეთის წინაშე; რისი აღწერა და დასურათება ჩვენთვის შეუძლებელ-მიუღწეველ-მიუწვდომელია...

„გენიოსი – ეპოქის მგრძნობიარე ნერვია“. ***ფრიდრიხ ჰებელი.***

ყოველივე ზემოთ აღწერილი, ალბათ, მხოლოდ ასეა ზეენარულად დადგენილი, რომლის საიდუმლოების ქვეშ მარადიულად ვმარტვილობთ. როგორც გიამბეთ ბოლმდე ჩამოუთვლელ ამ ურთულესს კოსმიურს, ტერენტი გრანელი, თვითნებურად მწვავედ ითავისებდა, რითაც იქმნებოდა სევდაშეპყრობილი მისტიკური პოეზიის ლექს-სიახლეები, რომელსაც განსხვავებული აზროვნების სრულიად მართალი გრძნობებიც ერთვოდა. ამდაგვარი უმძაფრესი განცდებით დამთავრდა დიდი ხელოვანის უკანასკნელი პაემანი სიკვდილთან, სადაც ზესკნელ-ქვესკნელის სამომავლო სურათები გარკვევით დაიხატა.

თუ პოეტს ყოველთა სიცოცხლის მკვლელი, მართლაც შეეცოდა, ვალდებულნი ვართ, მორჩილად ჯვარი გადავსახოთ დიდ, მარადიულობა მგოსანს – ტერენტი გრანელს...

2018-2019 წ.წ.
ძველი სენაკი-თბილისი

მიმოზა ცანავა

ჩემი ყავარჯენი თქვენ ხართ!

ნანას და რეზის

ფიქრით დაქანცული ძალას მოვიკრებ და
თვალში კვლავ მოვახრჩობ სევდას,
– ,,დედი, სხვებივით რად არ დადიხარო“, –
შვილი მეკითხება დედას.
აბა, როგორ გითხრა, ჩემო თვალისჩინო,
მხანჯლავს სატკივარი, მხერხავს,
ბუღა ხარივით გახელებული,
ხვედრს ვებრძვი დაცემულს მეხად.
დალახულივით ბედგაკვანძული,
მძიმედ მივუყვები შარას,
შარობს ქარიშხალი,
მომდევს თავაწყვეტით,
როგორც ცოფიანი – ფარას.
ლაღი გაზაფხულით სხვებმა გაიხარეს,
ბედის იალქანი ურჩობს,
გვერდით ჩამიარა ჩემმა სიყმაწვილემ,
როგორც შორეულს და უცნობს.
მზე ჩაიწურა ჩასავლეთში და
ღამე მოღუშული მზარავს,
ტკივილს დამიამებს თქვენი გაღიმება,
თქვენი არსებობის ძალა.
სულმა სხეული მოათვინიერა,
ტვირთი ძალისძალით ვზიდე,
მე არ წავიქცევი, დედა შემოგევლოს,
ოღონდაც შემეხიდე.
მწუხრი მორკინალი უნდოდ დამარბევს და
გული ვერ იქნება მშვიდად,
არა, სიბრალული კი არა და
თქვენი თანადგომა მინდა.
იწვის, იღვენთება, რწმენის სანთელი და
სული ეხედნება მხნე მხარს,
ხელი შემაშველეთ, ჩემო საფიცარნო,
ჩემი ყავარჯენი თქვენ ხართ!

ერთად ამიტირდა სულში..

გული – ოცნებების ოკეანე,
სული – გარდაცვლილი მზე და
ფიქრი – დაკაწრული ღამე,
ისევ უსაშველო სევდა.
ეჭვი – ეკალ-ბარდი მწარე,
ისევ ქაოსური განცდა,
მკვდარი ფოთოლცვენა ირგვლივ,
ისევ ლოდინი და დაცდა.
ყელი – საამბორო, თბილი,
ალერსს მოკლებული მუდამ,
ისევ დამიშინა ბედმა
ცივი მარტოობის გუნდა.
თვალი – ჩათვლემილი მზე და
ისევ ქარიშხალი ავი,
ასე რად ატირდა ნეტავ,
ჩემში გულმწუხარე ქალი.
რისთვის ეგ ნათელი შუბლი,
რისთვის ანთებული თვალი,
ნუთუ შეუძლებელს ითხოვს,
დარდით გადაღლილი ქალი.
მხოლოდ შეხიდება მინდა,
მარტო ამიკვნესდა ქნარი,
თურმე რამდენ რამეს უტევს,
ერთი მეოცნებე ქალი.
თურმე ცის ლაციციც კმარა,
თუ ხარ დიდი გრძნობით მთვრალი,
ო, მზედ ჩამეღვარე სულში,
გვედრებს მარტოსული ქალი.
ატმის აფეთქებულ რტოებს,
ლეწავს გულბოროტი ქარი,
ერთად ამიტირდა სულში,
დედა, მიჯნური და ქალი.

ნამდვილი ქალი ხომ ქალია!

ნუ იტყვი – ცხოვრება დამთავრდა,
და შენთვის არავის სცალია,
სიცოცხლის სულ ბოლო წუთამდე,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ნუ იტყვი, სარკეს თვალს არიდებ,
რომ გაზაფხულებიც მწყრალია,
ვარდს ხომ სურნელება თან ახლავს,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ნუ იტყვი, არაფერს არ ელი
და შენი ცხოვრებაც ქარია,
ყვავილი ყვავილად დარჩება,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ნუ იტყვი, არსად არ გელიან,
თვალებს ნუ არიდებ ცვარიანს,
წლებსაც ხომ თავისი ხიბლი აქვს,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია.
დახუნძლულ დღეებზე იფიქრე,
ასე რომ გამშვენებს ლალიანს,
დღე გაილამაზე ოცნებით,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია.
ცხოვრების დახატულ სურათებს,

ასე ეფერები ძალიან,
ასეა ბუნების კანონი,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
წამებს ნაამბორალს წარსულის,
წამით გაიხსენებ ალიანს,
სკივრში შეგინახავს ბარათი,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ეშხით მოუყვები შვილიშვილს,
რომ ქმარი – რაინდი ფარია,
მერე მოგონება გაგათბობს,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ასაკი მძივებად ასხმულა,
დღეებს ეკეკლუცე დარიანს,
ქალი – სიყვარულის მზეა და
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
წლები უსწრაფესად მიჰქრიან,
დარდისთვის შენ სადა გცალია,
ვარდი მოწყვეტილიც სურნელობს,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
სიმწვანეს სიყვითლე შეერწყა,
ბუნებამ ფერი ფერს გარია,
სუნამო რად გინდა, ისედაც,
სურნელობ, ქალი ხომ ქალია!
ცოლი ხარ, დედა ხარ, სატრფო ხარ,
უფალი გფარავდეს ჯვარიანს,
დარდები განდევნე სულიდან,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
ღიმილი, ღიმილი გიხდება,
ნაქარალს, ნასევდარს, ბრალიანს,
ცხოვრების მიზანი შენა ხარ,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!
სევდის მარტოობის სუდარა
ქარებს გაატანე ძალიანს,
გაიგაზაფხულე, აენთე,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია.
მომავალს უშენოდ ვინ შექმნის,
სიცოცხლის საწყისი წყალია,
მწყურვალს არწყულებ და ამშვიდებ,
ნამდვილი ქალი ხომ ქალია!

დედაენა

ჯადოსნურო, ხიბლიანო ენავ,
ჩემო დიდო ტკივილო და ჯავრო,
შენზე დიდი საგანძური რა მაქვს,
საქართველოს ხერხემალო, ფარო!
მუსიკა ხარ და მართალი სიტყვა,
დუშმანმა ვერ დაგაჩოქა გესლით,
ამაყი ვარ, ვითარც მყინვარწვერი,
როცა ჩემი ტკბილქართული მესმის.
მტერი ბევრჯერ ჩაგისაფრდა მალვით,
სიცბიერით დღესაც წაშლას ცდილობს,
მაგრამ ფესვი გადგმული გაქვს ძლიერ,
ვერავინ ვერ ამოგძირკვავს, თბილო!
ბევრჯერ სისხლი გადინეს და დაგჭრეს,
იარები მოიშუშე თითქოს,
რომ ზვარაკად შემოგწირო თავი,
დღე და ღამე მე შენს ბედზე ვფიქრობ.
ქარდაკრული ყვავილი ხარ ნაზი,
ატმის რტო ხარ დანამული ცვარით,
რა ლამაზი არის ჩვენი ენა,
დალოცვილი ღვთისგან წმინდა ჯვარით!
მწვერვალი ხარ, დაუპყრობი, ურჩი,
კარგად ხვდები, მოშურნე რად მრავლობს,
დღემდე როგორ მოაღწიე, მიკვირს,
საოცნებოვ, ჩემო ნატვრისთვალო!
მავანთაგან ქარიშხალი გქვია,
მაისი ხარ, ვარდ-ყვავილთა ფენა,
ჩონგური ხარ, მოჟღურტულე სიმი,
სასალბუნო, საამურო ენავ!

შენ შუქი ხარ, ნათლისმფრქვევი შუქი,
თვალს რომ გჭრის და
თავბრუს გახვევს უმალ,
სიმღერა ხარ, იავნანა ტკბილი,
დედასავით ჩაგიკონა გულმა.
საყრდენი ხარ, სალოცავი ჩვენი,
შენითა მაქვს მე დღეს რამე თუ მაქვს,
მაამაყებს სიდიადე შენი,
წუთისოფლის ამ დროებით სტუმარს.
შენ გული ხარ, მგრძნობიარე გული,
ვერასოდეს ვერ იქნები მშვიდად,
მწყურვალთათვის მთის წყარო ხარ სუფთა
და ჩვილივით მოფერება გინდა.
შენ მუზა ხარ და ფაქიზი სული,
მზედ გაშლილი ფარშევანგის ბოლო,
როცა შენი ჟღერადობა მესმის,
ბედნიერი მაშინა ვარ მხოლოდ.
სანთელი ხარ, ანთებული ალით,
გზას გვინათებ შენი წვით და ნათლით,
ტაძარი ხარ ქართველთათვის წმინდა,
თუ გადავრჩით ისევ შენი მადლით.
შენ სკივრი ხარ, ჯადოსნური სკივრი,
შემოქმედთა თილისმა და რწმენა,
და ფიქრი ხარ გახვეული ნისლში,
ჩემი ძალა, ჩემი ბედისწერა!
უფლისაგან დალოცვილო მარად,
ღმერთი გიცავს, გფარავს მაღლით ზენა,
სალოცავო, უწმინდესო ჩვენო,
კურთხეულო, მშობლიურო ენავ!

მე პოეტი ვარ

ვხედავ ნელ-ნელა შემომაცვდა
სამოსი ტანზე,
ქარი ქოშინით,თავგანწირვით
ჩემსკენ მოიწევს,
ვით პირველყოფილ ადამიანს
გზაკვალარეულს,
შიშველ სხეულზე აფარება
ფოთლის მომიწევს..
მე პოეტი ვარ,
ცარიელი ჯიბის პატრონი,
ერთი გროშიც კი არ გამაჩნია,
მიწიერ ყოფას ვერ ავუწყე ვერა ნაბიჯი,
უფალმა ასე მიუფლა და გამომარჩია.
მე პოეტი ვარ,
ხმაურიან ლექსის მჭედელი
ბასრ ლურსმნებივით
ზოგ-ზოგებს რომ გულზე ესობა,
მე პოეტი ვარ,
გაძარცვული ზამთრის მარტო ხე
და ბევრს არაფრად მიაჩნია
ჩემი ლექსობა.
მე პოეტი ვარ,
საქანელა ცაზე რომ არწევს,
მათხოვარივით ვაკვირდები
დაყრილ მონეტებს,
სიზმრის სიმძიმე სულს რომ ასე
მუმლივით ხრავს და
რატომ არ სწყალობს ქვეყნად ბედი
საწყალ პოეტებს.
რაც გამაჩნია იმ სიმდიდრეს
ფასი რად არ აქვს,
ნიჭიერების უნიჭობა
ვით არ ვითმინე,
სულს დავიპურებ,
არ მაშინებს ეგ ქარ-ბორია,
ამ სნეულ სხეულს რით ვუშველო
მითხარით, ვინმემ.
ლალ-მარგალიტებს რად ვარჩიე
ვარდის სინაზე,
ან სასახლეებს მერცხლის მშვიდი,
პაწია ბუდე,
მე პოეტი ვარ,
ამ ბუნების მესაიდუმლე
და მაპატიეთ, ლექსთა ქარით
თუ გავიგუდე.
მე პოეტი ვარ,
არაფერი არ შემიძლია,
გარდა იმისა,
სიტყვით ჭრელი მანდილი ვქარგო,
ნუ შემომხედავ ალმაცერად,
დამცინავ მზერით,
შენად მიმიღე,
მიმეგობრე, თუ შესძელ კარგო!
მე პოეტი ვარ,
დაფლეთილი გული თან დამაქვს,
შენც არ დამადო დარდის ლოდი,
არა, იგი, ზედ,
ეს მე კი არა, სული ბღავის,
სული ხმაურობს,
არ ჩამითვალოთ ეს განცდები
მაინც სიგიჟედ.
მე პოეტი ვარ,
ჩემი ბინა ეს სამყაროა,
აუხდენელი ოცნებები
მიმყვება დარდად,
მე პოეტი ვარ,
არაფერი არ გამაჩნია,
წრფელი ლექსის და უტეხელი
ამ გულის გარდა.
მე პოეტი ვარ,
ოცნებების ზღვაში მცურავი,
ჩვეულებრივად მუდამ მისწრებს,
გჯერა? – ასჯერ ის,
მე პოეტი ვარ,
ლექსის სახლებს ვაშენებ მხოლოდ
და პოეტობა არის ჩემი ჯილდოც,
სასჯელიც!

ვბერდები.

სულს ნელა ეცლება კოკრობა
და სხივი მიქრება ლოყაზე,
უმზეო დღე ღამეს მოჰგავს და
ყურაწეული მომყავს მზე.
ლილისფერ ზეცაში ფარფატებს,
მშვიდობის ღუღუნა მტრედები
და მაინც ვერაფრით ვერ ვგუობ,
რომ ასე ნელ-ნელა ვბერდები.
ცრემლები თვალთაგან ლანქერად
ჩამომდის, გზა-კვალი მერევა,
ოცნება დანისლულ თვალებში
მიქრება და სული მელევა.
მირაჟი შემაკრთობს წარსულის,
ხან ღობეს, ხან ყორეს ვედები
და მმიჯნავს ვარდული სამყარო
და ვხედავ ნელ-ნელა ვბერედები.

რევაზ მიშველაძე – 80

წლებზე გამარჯვების იუბილე

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს 80 წელი შეუსრულდა. ქართული საზოგადოება კარგად იცნობს რევაზ მიშველაძეს, როგორც მეცნიერს, როგორც მწერალს. მას უწოდებენ ცოცხალ კლასიკოსს და დამსახურებულადაც – იგი ექვსასზე მეტი ნოველის ავტორია. ოცდახუთტომეულიდან ერთ-ერთი ტომის წინასიტყვაობაში ავტორი წერდა, რომ 75 წლის კაცი ვარ, ძვირფასო მკითხველო და მაპატიეთ, ჯერჯერობით ვერც იმის პირობას ვიძლევი, რომ მეტს აღარ ვიზამო. ასეც მოხდა. მას შემდეგ არაერთი ნაწარმოები შექმნა, თანაც ისე, რომ უერთგულა საკუთარ პრინციპს: **„მწერალმა არ უნდა გაიმეორო შენი თავი, შენ მიერ ერთხელ და სამუდამოდ დაყენებული პრობლემები, არ უნდა გაიმეორო თემები, არ უნდა გაიმეორო სიუჟეტები, არ უნდა გაიმეორო პერსონაჟები... მე თვითონაც არ ვიცი, როგორ მოდის სიუჟეტები. ცხოვრება ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაძლევს, გჩრის, რომ იტყვიან, ცხვირში თემებს, ამბებს. ზოგი მათგანი საინტერესოა, ზოგი ნაკლებად საინტერესო. აი, ამ გროვაში ამბებისა, შენ უნდა გამოარჩიო განსაკუთრებული და ორიგინალური!“.**

რევაზ მიშველაძე, როგორც მწერალი, აგრძელებს ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებს. იგი საინტერესო და აქტუალურია თანამედროვეობისთვისაც. „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ (2011) წლის საუკეთესო რომანად გამოცხადდა. მეორე რომანს – „ციყვი ბორბალში“, ნობელის პრემიაზე წარდგენის პატივი ხვდა წილად. მისი შემოქმედება საინტერესოა საკვლევადაც – მასზე, როგორც მწერალზე, დაწერილია 15-მდე სქელტანიანი წიგნი, დაცულია შვიდი დისერტაცია. განსაკუთრებით ცნობილია რევაზ მიშველაძის დამოკიდებულება რუსთველის მიმართ, რომელსაც მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. ცხოვრების 50 წელი შეალია მწერალმა პოემის ტექსტის დადგენას.

თემატური მრავალფეროვნების მიუხედავად მის შემოქმედებას მარადიულ სათქმელად გასდევს ეროვნულობა, სამშობლოს თემა, მისი კალამი აფხაზეთში სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაცემული ერთადერთი ვაჟის დაკარვით გამოწვეული უსასრულო ტკივილისა და გმირის მშობლის სიამაყის მელანშია ამოწობილი.

სხვა მნიშვნელობისაა მისი საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში. პროფესორი რევაზ მიშველაძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქომაგი და გულშემატკივარი იყო ყოველთვის და რჩება დღესაც.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვულოცავთ ბატონ რევაზ მიშველაძეს 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ველით ახალ ნაწარმოებებს. ჩვენ კვლავაც არაერთხელ შევახსენებთ ჩვენს სტუდენტობას იმ მთავარ პრინციპებს, რომლითაც განვლო მან ცხოვრების რვა ათეული წელი, რომლითაც საზრდოობდა როგორც ადამიანი, მასწავლებელი, მეცნიერი, შემოქმედი და მოქალაქე: „პატივისცემა პროფესურისა, პატივისცემა კოლეგებისადმი, პატივისცემა სპეციალობის მიღებისადმი, პატივისცემა უნივერსიტეტის თეთრი კედლებისადმი და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული, სამშობლოსათვის თავის დადება.“

მაკა ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი

უნივერსიტეტის მეგობრის იუბილე

ბატონი რევაზ მიშველაძე ყოველთვის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო თუ ლიტერატურულ ცხოვრებაში. 60-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც გავხდი უნივერსიტეტის სტუდენტი, ჩამოყალიბდა ჩვენი ურთიერთობა ჯერ, როგორც ახალგაზრდა ლექტორისა და სტუდენტისა, ხოლო შემდეგ –კოლეგებისა.

1990 წელს, როდესაც გაიხსნა თსუ ახალციხის ფილიალი, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პროფესორი რევაზ მიშველაძე ამ ფაქტს და ეს არ იყო მხოლოდ გამოხმაურება. მას სამცხე-ჯავახეთში საუნივერსიტეტო ცხოვრების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია.

რთული იყო საგანმანათლებლო დაწესებულების, საუნივერსიტეტო ცხოვრების ორგანულ ნაწილად ქცევა საქართველოს იმ კუთხისათვის, რომელიც პრაქტიკულად მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, მოწყვეტილი იყო სამშობლოს - გამოყოფილი იყო „შლანგბაუმით“, ამიტომაც განსაკუთრებით ფასობდა თბილისის, თბილისელი პროფესორების პოზიცია და მათი აქტიური თანამშრომლობა ფილიალთან. ფილიალის გახსნის დღიდან არა ერთხელ ესტუმრა რევაზ მიშველაძე ახალციხეს, აქაურ ახალგაზრდობას, ატარებდა ლექციებს, გულშემატკივრობდა სამხრეთის უპირველეს უმაღლეს სასწავლებელს, ამხნევებდა მის პროფესურას, ამდიდრებდა ახლადშექმნილ ბიბლიოთეკას არა მხოლოდ საკუთარი წიგნებით. მრავალთაგან გამოვყოფდი მწერლის 1997 წლის ჩამოსვლას ჩვენს უნივერსიტეტში. მაშინდელი ფილიალის გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ წერდა: „ბატონ რევაზ მიშველაძეს, ცნობილ მწერალსა და მეცნიერს, თბილისის უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეს, მკითხველის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ბატონი რეზო ამას წინათ ფილიალში იქნა მოწვეული. ბუნებრივია, შეხვდა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მიმოიხილა ჩვენი სასწავლო თუ ლიტერატურული ცხოვრება, ესაუბრა ახალგაზრდებს. მათთვის ბევრ საინტერესო პრობლემას შეეხო“.

იმ პერიოდში გააქტიურდა ეროვნული ნიჰილიზმის სენი, რომელსაც საკუთარი კლასიკური მწერლობისადმი ასევე ნიჰილისტური დამოკიდებულება ემატებოდა. აქა-იქ „ვეფხისტყაოსანსაც“ გაჰკრეს კოსმოპოლიტური კბილი „ახალმა ქართველებმა“, ამიტომ მესხებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მწერლის ნათქვამს ჩვენი უპირველესი წიგნის შესახებ: „ჩვენ, შეიძლება თქვას, რომ ჩვენი ეროვნული პასპორტი გვაქვს. ამ პასპორტს „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია“.

აფხაზეთის ომში დაღუპული შვილის მამისგან ნათქვამ სიტყვებს სხვაგვარად ხვდებოდა ახალგაზრდობა. განსაკუთრებულ ემოციებთან და ტკივილთან იყო დაკავშირებული რევაზ მიშველაძის ნათქვამი:

„ზოგიერთს ეჩვენება, რომ მამულის დაცვის ნიჭი გაქრა საქართველოში, რომ მონობამ რუსეთის კირთების ქვეშ ბევრი რამ წაგვართვა, რომ წაიშალა ზღვარი ცოტნე დადიანსა და თანამედროვე ახალგაზრდობას შორის, თუმცა, როგორც კი საქართველოს გაუჭირდა, 30 ათასი ქართველი ვაჟკაცი დადგა სამშობლოს სამსხვერპლოზე და შეეწირა მის დაცვას აფხაზეთში.“

მწერალმა კარგად დაინახა და შეაფასა სამხრეთ საქართველოში ახალი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების სათავეში მდგომი ჩვენი უნივერსიტეტის როლი: „ქართული ცივილიზაციის აკვანი მესხეთში დაირწა. მე ვხედავ, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება, იდეოლოგია, საქართველოს გასამაგრებლად, ნელ-ნელა იკიდებს ფეხს სამცხე-ჯავახეთში. მე ამას მივესალმები. მე გახლდით მესხეთის უნივერსიტეტში და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, როგორ ინტერესდებოდა სტუდენტობა ჩემი ნაწერებით, ქართველი მწერლის ნაწერებით.“

ბატონი რევაზ მიშველაძის 25-ტომეული, რომელიც მან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა, თაროზე შემოდებული წიგნების რიცხვს არ მიეკუთვნება, მას კითხულობს ჩვენი ახალგაზრდობა.

მინდა, მივულოცო ჩვენი უნივერსიტეტის მეგობარს, მისი მშენებლობის სათავეში მდგომ პროფესორს, ბატონ რევაზ მიშველაძეს 80 წლის იუბილე, ვუსურვო წარმატებები კვლავ და კვლავ და მინდა დავარწმუნო, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ყოველთვის ელოდება მას, როგორც სტუმარს, როგორც მწერალს და როგორც პროფესორს!

მერაბ ბერიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

კიდევ ბევრი გაქვთ სათქმელი!

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როდესაც გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პირველი ნომრის მომზადებისას, ბატონ რევაზს რომ ვეწვიე ოჯახში და ახალი სალიტერატურო გაზეთის გამოცემის იდეა გავაცანი. წარმოუდგენლად დიდი სიხარული გამოხატა მაშინ დიდმა მწერალმა – ძალზე თბილი, დასამახსოვრებელი, იმედიანი მისალოცით მოგვეფერა, „ახლადგამომცხვარი“ ნოველითაც „დაგვაჯილდოვა“ და დაგვაიმედა, – მზრუნველობასა და ყურადღებას არ მოგაკლებთო.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა და რევაზ ბატონი ჩვენი გაზეთის არა მარტო მხურვალე მხარდამჭერი, არამედ განუსაზღვრელად დიდი მეგობარიც გახდა. მასთან მრავალგზის შეხვედრებმა, თანამშრომლობამ, რჩევებმა, დიდი გამოცდილება შეგვძინა. ამდაგვარი თანადგომა კი სულიერად დიდ ადამიანებს ჩვევიათ, ხოლმე.

რევაზ მიშველაძე თანამედროვეობის დიდი მწერალია. არ არსებობს საქართველოში არც ერთი ლიტერატურული პრემია, ჯილდო, რომლის მფლობელიც იგი არ იყოს, მაგრამ თავად ბატონი რევაზია დიდი ჯილდო ქართული მწერლობისთვის, ვისითაც ამაყობს ერი. ცოცხალ კლასიკოსთან ურთიერთობა, პატარა ნაცნობობაც ხომ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, დიდი პატივია.

ქართველ მწერლებთან და პოეტებთან ურთიერთობებისას, არაერთხელ დავრწმუნდი, რამდენ ახალგაზრდას შეუწყო ხელი ფართო ასპარეზზე გამოსვლისათვის. არც იმის ართქმა შეიძლება, რამდენ მწერალს გაუწია უანგარო დახმარება, გაჭირვების ჟამს.

ბატონო რევაზ, თქვენ ქართველმა მწერლებმა სხვა დიდი მისიაც დაგაკისრათ – უთავკაცოთ ამ ურთულეს ეპოქაში, საქართველოს მწერალთა კავშირს, როცა მის მიმართ მავანთა მხრიდან, რამდენიმე ათეული წელია, აშკარად თუ ფარულად, დიდი შემოტევებია, მაგრამ მაინც იბრძვით როგორც სიტყვით, ასევე საქმით. ამიტომ გვჯერა, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს!

რას იზამთ, ერთ დროს რუსთაველსაც ებრძოდნენ, წვავდნენ და ანადგურებდნენ „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ რუსთაველი რუსთაველად დარჩა და გვჯერა, წყვდიადს თქვენნაირი მწერლები უეჭველად გაფანტავენ.

ალბათ, ეს დროც მალე დადგება!

ამ იმედით გლოცავთ, ბატონო რევაზ და გულითადად გილოცავთ ღირსეულ იუბილეს. ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ნუ მოგაკლოთ ღმერთმა, რათა კვლავაც მრავალი ახალი ნოველითა და რომანით გაგეხარებინოთ თქვენი თაყვანისმცემლების გულები.

ავთანდილ ბერიძე

მიმართვა ქართველ მწერლებს

„ბატონებო!

2007 წლის 21 აგვისტოს, დილის 4 საათზე, საქართველოს ხელისუფლებამ მწერალთა კავშირი დაარბია.

გამთენიისას ნიღბიანი სპეცნაზელები შეიჭრნენ მწერალთა სასახლეში და გაუგონარი ცინიზმით იავარქმნეს მწერალთა თავშესაფარი.

ენით გამოუთქმელი უმაგალითო ამბავი მოხდა.

მსგავსი რამ ფაშისტებსაც არ მოსვლიათ აზრად.

ისტორიამ იცის მაგალითები, რომ სიმართლის თქმისთვის დაეტუსაღებინოს ესა თუ ის მწერალი, დაეხვრიტოს კიდეც კაენის სულის აღზევების ეპოქაში, მაგრამ ხელისუფლებას ერთბაშად ამოეშანთოს 475 მწერლის ბუდე, მოეშალოს მათთვის ტრიბუნა და ამით მოესპოს, მწერლებისთვის თავშეყრის საშუალება, აეკრძალოს მათთვის საჯაროდ აზრის გამოთქმა, დედამიწაზე ჯერ არ მომხდარა.

აღსრულდა ის, რისიც ყველაზე მეტად გვეშინოდა, გაღიზიანებულმა ხელისუფლებამ ნაგვართვა ისტორიული სასახლე და ამით თავისი სახე გამოაჩინა.

ამ ვანდალური საქციელით ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ საქართველოს სათავეში მოვიდნენ ჩვენი ეროვნულობის დაუძინებელი მტრები, მაგრამ თუ ფაშიზმი გერმანელთა ნაციონალურ ნიშნებს ასე თუ ისე პატივს სცემდა, ამ ხელისუფლებას ჩვენი ნაციონალური სახე არ დაენახვება და არც გაეგონება.

ქუჩაში მოისროლეს ილიას, აკაკის, ვაჟაფშაველას, გალაკტიონის წიგნები და პორტრეტები.

შეურაცხყვეს კლასიკოსთა ხსოვნა და შენობიდან განდევნეს მათი წმინდა აჩრდილები.

რუსთაველის სახლი დაარბიეს, ბატონებო.

ნუ გაიხარებენ საქართველოს დაუძინებელი მტრები.

საქართველოს მწერალთა კავშირი არსებობას წამითაც არ შეწყვეტს და მეტი მონდომებით და გაბედულებით ეტყვის ქართველ ერს მისთვის ესოდენ აუცილებელ, გულისმოსაფხან სიტყვას.

მწერლებო!

ისტორიამ დიდი გამოცდა მოგვიწყო.

ახლა ჩვენი ვალია, მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ის რაც საქართველოში ხდება, ხელისუფლების ფაფხურია ქართული ეროვნული ცნობიერების ამოსაშთანავად.

ეს საქართველოს მოსასპობად გადადგმული ყველაზე ამაზრზენი ნაბიჯია.

ამ სავალალო ფაქტზე საუკუნეები ილაპარაკებენ.

არ შევუნახოთ ნამუსი გარეწრებს, დაუნდობლად ვამხილოთ ისინი ჩვენს ნაწერებში.

„უკვდავჰყოთ“ სისხლიანი ხელისუფლების წრეგადასული თავხედობა.

ჩვენ ვცოცხლობთ!

მრავალჭირგამოვლილ ქართულ მწერლობას, თავისუფალ ქართულ სიტყვას ასე იოლად ვერ მოერევიან.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

ეს მიმართვა ცხელ გულზე დავწერე.

მწერალთა კავშირს ალყა შემოარტყეს სპეცრაზმელებმა და რაც იყო შენობაში, ქუჩაში გამოყარეს.

ასეთი რამ დედამიწაზე არ მომხდარა.

475 მწერალს ხელისუფლება ერთბაშად გაუსწორდა.

სიბრაზისგან პირი მიშრება.

დავურეკე პრეზიდენტის დედას, ქ-ნ გიული ალასანიას, ნუთუ შენი შვილის დასტურით ხდება ეს საშინელება-მეთქი.

არა მგონიაო. ალბათ, ვიღაცეები ჩემს შვილს უწყობენ ასეთ სცენებს, რომ ქართველ ერს შეაძულონო.

ვყვირით, თმებს ვიგლეჯთ, მაგრამ გამკითხავი არავინ არის.

იცით თუ არა, რას ჩადიხართ, რას ერჩით ილიას, აკაკის, ვაჟას წიგნებს, ქუჩაში რატომ გამოაგდეთ გამსახურდიას სავარძელი, გალაკტიონის მოტანილი კარადა-მეთქი... ვინ ხართ, სად გაიზარდე-მეთქი.

ჩვენ რაც გვიბრძანეს, იმას ვაკეთებთო, სპეცნაზელებმა.

ორი წუთით მაინც შემიშვით ჩემს კაბინეტში, გაზეთის მასალებს, წიგნებს, პირად ნივთებს მაინც გამოვიტან-მეთქი.

ხვალ დილითო, დიდუბის ნაგავსაყრელზე იპოვი ყველაფერსო, ცინიკურად მიპასუხეს.

დანა რომ დამისვა სისხლი არ გამომივა.

გაგრძელება გვ.7 ▶

ჩსპინძის ომის 250 წლისთავისათვის

ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის

(XVIII საუკუნის 60-70-იანი წლები)

***XVIII** საუკუნე სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისათვის ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირებით დაიწყო. ეს დაპირისპირება ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ზავები დაძაბულობას ვერ ამცირებდა, პირიქით, ყოველი ზავის შემდეგ სამი დიდი იმპერია ახალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში ერთ-ერთ მთავარ საკითხს საქართველოში პოზიციების მოპოვება წარმოადგენდა. ქართულ სამეფო-სამთავროებში ქართლ-კახეთის სამეფო პირველობდა. თეიმურაზ II და ერეკლე II ცდილობდნენ სამი იმპერიის დაპირისპირებაში როგორმე გადაერჩინათ სამშობლო.*

1. პრორუსული ორიენტაციიდან პროირანული ორიენტაციისაკენ

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის კრახმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო ქართლი, არამედ კახეთიც. ისლამური სამყარო (ირანი, ოსმალეთი, ჩრდილო კავკასიის ხალხები) რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ. რუსეთის შემოჭრა სამხრეთ კავკასიაში ვახტანგ VI-თვის ქართლის გადარჩენას ნიშნავდა, ხოლო ისლამური სამყაროსათვის უაღრესად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ავღანელებთან ბრძოლაში დასუსტებული ირანი რუსეთს საჭირო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რაც რეგიონში სტატუს კვოს დარღვევას გამოიწვევდა. ირანს რუსეთთან ომი არ შეეძლო. ამიტომ იყო რომ ტერიტორიული დათმობების ხარჯზე, ირანმა რუსეთთან 1723 წელს ზავს მიაღწია და მდგომარეობა დროებით გაიუმჯობესა. რუსეთ-ირანის დაზავება დალს მეფური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VI-ს ანტიირანული პოლიტიკით განრისხებული ირანელი სარდლისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი ალბათ მოულოდნელიც იყო. ნადირ ხანმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მოწინააღმდეგეების – თეიმურაზისა და ერეკლეს – მიმხრობა. პროირანული ორიენტაციის თეიმურაზისა და ერეკლეს დახმარებას ნადირ ხანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში, არამედ დაღესტნის დასამორჩილებლად წარმოებულ ომში. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირშაჰმა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ ირანის შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხადია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად ირანის შაჰის ჩანაფიქრისა, ერთი რამ ცხადია: ნადირშაჰმა შესაძლებლად მიიჩნია სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებრიობის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონებით სათავეში.

2.პროირანული ორიენტაციიდან პრორუსული ორიენტაციისაკენ

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის აღიარების შემდეგ სამეფოებში დამყარებული მშვიდობიანობა სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით და, საერთოდ, ქვეყნის აღმშენებლობისათვის გამოიყენეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოები ნელ-ნელა შეეგუენ იმას, რომ ქართლსა და კახეთს დიპლომატიური და სამხედრო ნიჭით დაჯილდოვებული მეფეები გამოუჩნდნენ. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ჩათვალეს, რომ შექმნილ ვითარებაში ჭარ-ბელაქანის დაკავება და იქ ლეკებისათვის დასაყრდენის მოშლა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ლაშქრობა წარუმატებლად დასრულდა. მეფეები მიხვდნენ, რომ მათ მიერ ჭარ-ბელაქნის დაკავება ირანისა და ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა. კახეთისა და ქართლის სამეფოებზე დაღესტნელების გამუდმებული თავდასხმები ირანისა და ოსმალეთისმიერ ქართლსა და კახეთზე ზემოქმედების, მათი დასუსტების საშუალებად განიხილებოდა. დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დახმარებით შეეცადნენ. 1752 წელს რუსეთში სვიმონ მაყაშვილსა და ათანასე თბილელის საგანგებო ელჩობაც გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის საიმპერატორო კარმა არა მარტო საქართველოში ჯარის გამოგზავნაზე განაცხადა უარი, არამედ ფულადი დახმარებაც შეუძლებლად მიიჩნია. პეტერბურგში სწორი დასკვნა გააკეთეს: ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) რუსეთის ჯარის შესვლა ძალზე გაამწვავებდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებს.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაციადასრულდა. დაიწყო ახალი, პრორუსული ორიენტაციის შემუშავება.Eეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. პრორუსული ორიენტაცია შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: პირველი. თეიმურაზიცა და ერეკლეც, ცხადია, გრძნობდნენ, რომ ირანში ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის პოლიტიკა ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა შეცვლილიყო და ქართლსა და კახეთს თავს დასტეხოდა სეფიანი შაჰებისდროინდელი აგრესია. მეორე.მეფეები იმასაც გრძნობდნენ, რომ ირანის მბრძანებლებს სულაც არ სიამოვნებდათ ქართლისა და კახეთის მეფეების გავლენა ირანულ სახანოებზე (განჯაზე, ერევანზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე). როგორც კი ირანში ცენტრალური ხელისუფლება ძალას მოიკრებდა, თეიმურაზისა და ერეკლეს მორჩილი სახანოები, შაქ-შირვანის ხანის ჰავჯი ჩალაბის მსგავსად, ქართლისა და კახეთისათვის საშიშ ძალად იქცეოდნენ. მესამე.დაღესტნელთა ამაოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარ-ბელაქანის (საინგილოს), კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შემოსაჭრელად ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. მეხუთე. თუ ირანში შინაააშლილობა არ დასრულდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა და გამორიცხული არ იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ოსმალური აგრესიის საფრთხე შექმნოდათ.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს რუსეთის იმპერიის დაინტერესებასურდათ, რათა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) ირანის ადგილი დაეკავებინა. თუ რუსეთი დარუბანდიდან

ნახ. ს. მაისაშვილისა

ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა, ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ – დაღესტნელთათარეშისამუდამოთავრებულიყო, რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) მაინც ვერ დამკვიდრდებოდა, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია ირანის გავლენის სფერო იყო და იქ ფეხის მოკიდებისათვის ირანის დამარცხება იყო საჭირო. ოსმალეთთან ომის პარალელურად კი რუსეთი, ცხადია, ირანთან ომს არ წამოიწყებდა.

ერეკლე II იმდენად იყო დაინტერესებული ქართლის გაწირვას ნიშნავდა.რუსეთის წარმატებამ ძალზე შეაშფოთა ოსმალეთი. სულთანმა 1724 წლის ზავით რუსეთი აიძულა სამხრეთ კავკასიაში ფართო დაპყრობით გეგმებზე ხელი აეღო. დაუძლურებული ირანი პოზიციებს მაინც არ თმობდა. რუსეთისაგან მიტოვებული ვახტანგ VI-ის დასჯა ირანის შაჰმა კახეთის მეფეს, რუსეთსა და ირანში კარგად ცნობილ ერეკლე I ნაზარალიხანის ძეს, გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს (მაჰმადყულიხანს) დაავალა. კახეთის მეფემ 1723 წელს ლეკთა ჯარის დახმრებით თბილისი დაიკავა. იმავე 1723 წელს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ, ქვეყანა დაიპყრეს და თბილისიც დაიკავეს. ასე დაიწყო ,,ოსმალობა", რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა. Gვახტანგ VI-ის ძმა, გამაჰმადიანებული იესე (ალიყულიხანი) ოსმალებს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა, რისთვისაც ქართლის მმართველობა უბოძეს. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა კახეთის მეფე კონსტანტინე. 1723 წელს ოსმალებმა იგი მოსალაპარაკებლად მიიწვიეს და მოღალატურად მოკლეს. ქართლი და კახეთი ოსმალებმა და მათმა მოკავშირე ლეკებმა აიკლეს. ოსმალთა და ლეკთა თარეშისაგან გაჩანაგებულ ქვეყანას კიდევ უფრო ასუსტებდა შინა აშლილობა – თავადური პარტიკულარიზმი. შეიქმნა უმძიმესი მდგომარეობა. სახელმწიფოებრიობის კვდომის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. ამ ძნელბედობის ჟამს ქართლისა და კახეთის სამეფოებს მხსნელად მოევლინენ კახეთის სამეფოს სახლის წარმომადგენლები – ერეკლე I ნაზარალიხანის უმცროსი ძე თეიმურაზი (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და მისი ძე ერეკლე (მომავალი მეფე ერეკლე II). თეიმურაზ ერეკლეს ძე და ერეკლე თეიმურაზის ძე ქართლისა და კახეთის გადარჩენისათვის ბრძოლას სამეფო ტახტზე ასვლამდე იწყებენ. ამ ბრძოლაში მამა-შვილმა დიდი დიპლომატიური და მხედრმთავრული ნიჭი გამოამჟღავნა.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში სეფიანთა ირანი ისე დასუსტდა, რომ ლამის იყო ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოს ტერიტორია რუსეთმა და ოსმალეთმა გადაინაწილეს. ირანის დედაქალაქი ავღანელებმა აიღეს და ერთ-ერთმა ავღანელმა ბელადმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია ოსმალეთსა და რუსეთს უნდა დარჩენოდა. ვითარება კარდინალურად შეცვალა სამოღვაწეო ასპარეზზე ირანის სამხედრო მინისტრის ნადირხანის გამოსვლამ. Nნადირხანმა (1737 წელს იგი ირანის შაჰი გახდა) ავღანელები სასტიკად დაამარცხა, ძლიერი დარტყმა მიაყენა ოსმალეთს და რუსეთიც აიძულა წინა წლებში დაკავებული ირანის ტერიტორიები დაეტოვებინა. 1735 წელს ნადირხანი სამხრეთ კავკასიაში ოსმალთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, განჯის ციხეს შემოადგა. თბილისში გამაგრებული ოსმალო ფაშა განჯის გარნიზონის დასახმარებლად ემზადებოდა.

თეიმურაზმა და ერეკლემ ზუსტად შეაფასეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შექმნილი ძალთა ახალი თანაფარდობა და პროირანული ორიენტაცია ირჩიეს. მამა-შვილმა თბილისიდან განჯის გარნიზონის დასახმარებლად მიმავალი ოსმალთა ჯარი გაფანტეს და ნადირ ხანს განჯის აღებაშიც დაეხმარნენ. განჯიდან ნადირ ხანი თბილისისაკენ დაიძრა. თეიმურაზმა და ერეკლემ ირანის სარდალს მეფური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VI-ს ანტიირანული პოლიტიკით განრისხებული ირანელი სარდლისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი ალბათ მოულოდნელიც იყო. ნადირ ხანმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მოწინააღმდეგეების – თეიმურაზისა და ერეკლეს – მიმხრობა. პროირანული ორიენტაციის თეიმურაზისა და ერეკლეს დახმარებას ნადირ ხანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არამარტო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში, არამედ დაღესტნის დასამორჩილებლად წარმოებულ ომში. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირშაჰმა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ ირანის შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხადია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად ირანის შაჰის ჩანაფიქრისა, ერთი რამ ცხადია: ნადირშაჰმა შესაძლებლად მიიჩნია სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებრიობის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონებით სათავეში.

2.პროირანული ორიენტაციიდან პრორუსული ორიენტაციისაკენ

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის აღიარების შემდეგ სამეფოებში დამყარებული მშვიდობიანობა სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით და, საერთოდ, ქვეყნის აღმშენებლობისათვის გამოიყენეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანული სახანოები ნელ-ნელა შეეგუენ იმას, რომ ქართლსა და კახეთს დიპლომატიური და სამხედრო ნიჭით დაჯილდოვებული მეფეები გამოუჩნდნენ. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ჩათვალეს, რომ შექმნილ ვითარებაში ჭარ-ბელაქანის დაკავება და იქ ლეკებისათვის დასაყრდენის მოშლა შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ ლაშქრობა წარუმატებლად დასრულდა. მეფეები მიხვდნენ, რომ მათ მიერ ჭარ-ბელაქნის დაკავება ირანისა და ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა. კახეთისა და ქართლის სამეფოებზე დაღესტნელების გამუდმებული თავდასხმები ირანისა და ოსმალეთისმიერ ქართლსა და კახეთზე ზემოქმედების, მათი დასუსტების საშუალებად განიხილებოდა. დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დახმარებით შეეცადნენ. 1752 წელს რუსეთში სვიმონ მაყაშვილსა და ათანასე თბილელის საგანგებო ელჩობაც გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის საიმპერატორო კარმა არა მარტო საქართველოში ჯარის გამოგზავნაზე განაცხადა უარი, არამედ ფულადი დახმარებაც შეუძლებლად მიიჩნია. პეტერბურგში სწორი დასკვნა გააკეთეს: ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) რუსეთის ჯარის შესვლა ძალზე გაამწვავებდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებს.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაციადასრულდა. დაიწყო ახალი, პრორუსული ორიენტაციის შემუშავება.Eეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. პრორუსული ორიენტაცია შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: პირველი. თეიმურაზიცა და ერეკლეც, ცხადია, გრძნობდნენ, რომ ირანში ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის პოლიტიკა ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა შეცვლილიყო და ქართლსა და კახეთს თავს დასტეხოდა სეფიანი შაჰებისდროინდელი აგრესია. მეორე.მეფეები იმასაც გრძნობდნენ, რომ ირანის მბრძანებლებს სულაც არ სიამოვნებდათ ქართლისა და კახეთის მეფეების გავლენა ირანულ სახანოებზე (განჯაზე, ერევანზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე). როგორც კი ირანში ცენტრალური ხელისუფლება ძალას მოიკრებდა, თეიმურაზისა და ერეკლეს მორჩილი სახანოები, შაქ-შირვანის ხანის ჰავჯი ჩალაბის მსგავსად, ქართლისა და კახეთისათვის საშიშ ძალად იქცეოდნენ. მესამე.დაღესტნელთა ამაოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარ-ბელაქანის (საინგილოს), კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შემოსაჭრელად ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. მეხუთე. თუ ირანში შინააშლილობა არ დასრულდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა და გამორიცხული არ იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ოსმალური აგრესიის საფრთხე შექმნოდათ.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს რუსეთის იმპერიის დაინტერესებასურდათ, რათა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) ირანის ადგილი დაეკავებინა. თუ რუსეთი დარუბანდიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა, ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ – დაღესტნელთათარეშისამუდამოთავრებულიყო, რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) მაინც ვერ დამკვიდრდებოდა, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია ირანის გავლენის სფერო იყო და იქ ფეხის მოკიდებისათვის ირანის დამარცხება იყო საჭირო. ოსმალეთთან ომის პარალელურად კი რუსეთი, ცხადია, ირანთან ომს არ წამოიწყებდა.

ერეკლე II იმდენად იყო დაინტერესებული პრორუსული ორიენტაციის განხორციელებით, რომ რუსეთის იმპერიასთან ნაკლებადმომგებიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც დასთანხმდა. ოსმალეთთან ომის პირობებში იმპერატორი ეკატერინა II (1762-1796) ირანის ვასალურ ქვეყანაში ჯარს არ გამოგზავნიდა. რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა (იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და რუსეთი, ცხადია, იქ ჯარის გაგზავნისგან თავს არ შეიკავებდა), შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ერთად დაიძვრებოდნენ სამცხე-საათაბაგოს, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის, ოსმალთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.

რას იგებდნენ რუსეთ–იმერეთ–ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირიდან ეკატერინა II, სოლომონ I და ერეკლე II? ეკატერინა II სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებით გარკვეულ მიზანს აღწევდა – ოსმალეთი იძულებული გახდებოდა სამცხე-საათაბაგოში ჯარისა და არტილერიის ნაწილი დაეტოვებინა. სოლომონ I-ს შანსი ეძლეოდა იმერეთში ოსმალეთის გავლენა ან საერთოდ მოესპო, ან სერიოზულად შეესუსტებინა. ერეკლე II-ს შესაძლებლობა ეძლეოდა, სამცხე-საათაბაგო დაებრუნებინა. ერეკლე II-მ, რომელსაც არანაირი ცნობები არ ჰქონდა რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებზე, ყველაფერი ბოლომდე და ზუსტად ვერ გათვალა: პირველი. ირანის ვასალი ქართლ-კახეთის სამეფო ომში ებმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის (ერეკლე II-ის) დასჯას მოსთხოვდა. მეორე. სამცხე-საათაბაგოდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ ვის უნდა გადასცემოდა ეს ტერიტორია? ცხადია, სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთს უნდა რგდებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა. ოსმალეთისთვის სამცხე-საათაბაგოს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემა ამ ტერიტორიის ირანის მფლობელობაში გადასვლას ნიშნავდა, რადგან ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად განიხილებოდა. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოსქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემით (თუკი ეს მაინც მოხდებოდა) ერეკლე II სამომავლოდ ოსმალეთს უპირისპირდებოდა. საბოლოოდ კი ქართლ-კახეთის სამეფო სამცხე-საათაბაგოსმაინც ვერ შეინარჩუნებდა. ვერ შეინარჩუნებდა არა მარტო ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, არამედ მანამდეც. აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქანში, (საინგილოში) მოკალთებული დაღესტნელების მიერ ქართლ-კახეთის ძარცვასა და იქიდან ადამიანების გატაცებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ისინი ნაძარცვსა და ტყვეებს ახალციხის გზით ოსმალეთში გაჰყიდდნენ. ასე, რომ აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეებში ქართლ-კახეთის ჯარის ჩაყენებით (ზოგადად, მდინარე მტკვრის ხეობის ამ ნაწილზე ქართლ-კახეთის სამეფოს კონტროლის დაწესებით)

→

←

დაღესტნელები ბაზრის გარეშე რჩებოდნენ. ახალციხის გზით ტყვეთა ბაზრის მომარაგებით ოსმალეთი ძალიან იყო დაინტერესებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ჭარ-ბელაქნისა და სამცხე-საათაბაგოსპრობლემა ერთ პრობლემად იქცეოდა და ერეკლე II-ს დიდ თავსატეხს უჩენდა. სამცხე-საათაბაგოს შენარჩუნებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძლებელი. მესამე. სამცხე-საათაბაგოს შემოერთების შემთხვევაში ერეკლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა ორი დიდი სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის – დაინტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი. ამრიგად, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი წარმატების შემთხვევაშიც ქართლ-კახეთის სამეფოს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა.

3. საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდა

ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთითა და ბალკანეთის ნახევარკუნძულით რუსეთი ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დამდეგს დაინტერესდა. მართალია, პიოტრ I-მა ამ რეგიონების დაპყრობა ვერ მოახერხა, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. ამ დროიდან დაწყებული რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობა მუდმივად დაძაბული იყო. XVIII საუკუნე რუსეთ-ოსმალეთის ომების სერიით აღინიშნა. 1768-1774 წლების ომი საქართველოსაც შეეხო. ამ ომში რუსეთის მიზანს ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის პლაცდარმის მომზადებაწარმოადგენდა. რუსეთის განაჩენი გამოუტანეს. იმპერატორმა ეკატერინა II-მ მოღალატე შეიწყალა და რუსეთიდან გაძევება აკმარა. 1769 წელს ტოტლებენმა რუსეთში დაბრუნება ითხოვა. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და მალე გენერალი საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა.

მართალია, რუსეთის საიმპერატორო კარს ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა საძნელო საქმედ ეჩვენებოდა, მაგრამ რუსები შეცდნენ. 1769 წლის აპრილში ომში ნეიტრალიტეტის დაცვის თხოვნით თბილისში მყოფ ოსმალეთის ელჩებთან ერეკლემ მოლაპარაკება შეწყვიტა და ელჩები ქვეყნიდან გააძევა.იმავდროულადქართლ-კახეთის მეფემ თბილისში საგანგებო საიდუმლო მისიით ჩამოსულ რუსეთის წარმომადგენელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე თანხმობა განუცხადა. 1769 წლის მაისში სოლომონ I თბილისში ჩამოვიდა. მეფეები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ პროირანული ორიენტაციის ერეკლე II ასე ნაჩქარევად, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე, ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში? ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. ერეკლე II-მ იგრძნო, რომ რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის გარეშეც შედგებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთისა და იმერეთის გაერთიანებული ჯარი სამცხე-საათაბაგოზე ილაშქრებდა – აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის დაკავებას შეეცდებოდა. ერეკლე II მიიჩნევდა, რომ სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და თუ ეს ტერიტორია ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლდებოდა, იგი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ერეკლე II-მ ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს მისი პროირანული ორიენტაცია არ მოსწონდა. ქართლ-კახეთის ნეიტრალიტეტი რუსეთის იმპერატორს კიდევ უფრო გააღიზიანებდა და გამორიცხული არ იყო, რომ ომში წარმატების შემთხვევაში სამცხე-საათაბაგო ეკატერინა II-ს იმერეთის მეფისათვის ებოძებინა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მხრიდან, შეცდომა იყო. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდ სამხედრო ძალას გადმოისროდა და რეგიონიდან ოსმალეთის გაძევებას დაისახავდა მიზნად. ერეკლე II-მ და სოლომონ I-მარაფერი უწყოდნენ იმ საიდუმლო გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც პეტერბურგში მიიღეს. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდი ომის წარმოებას არ აპირებდა. რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმით ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. სოლომონ I-ს ომის დასაწყისისათვის უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან (იმერეთის მიმართ ოსმალეთის დამთმობი პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებითაც იყო განპირობებული). ომში ნეიტრალიტეტით იმერეთის მეფე ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა ერეკლე II-მ. თბილისიდან გაძევებულმა ოსმალეთის ელჩებმა შეიტყვეს, რომ ომში ნეიტრალიტეტის თაობაზე მოლაპარაკების შეწყვეტისა და მათი ქვეყნიდან გაძევების მიზეზი თბილისში რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა იყო. ელჩების გაძევებით ერეკლე II-მ ოსმალეთთან ურთიერთობა გაირთულა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ოსმალეთის წინააღმდეგ ომშირუსეთის მხარეზე ჩაბმა დიდ შეშფოთებას გამოიწვევდა ირანში და დაძაბავდა არა მარტო ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობას, არამედ ირან-ოსმალეთის ურთიერთობასაც. არც სოლომონ I-ს და არც ერეკლე II-ს 1769 წელს არ შეიძლება ცოდნოდათ უმთავრესი: რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი იმერეთს სასტიკად ააოხრებდა, კარგი დღე არც ქართლ-კახეთს დაადგებოდა. ასე, რომ მეფეები დიდ რისკზე მიდიოდნენ.

1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა საექპედიციო კორპუსი – 480 კაცი და 4 ქვემეხი. 1769 წლის 12 აგვისტოს გენერალი გოტლიბ ტოტლებენი ასიოდე კაცითა და ორი ქვემეხით მოზდოკიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა (ჯარის ძირითადი ნაწილი მოზდოკიდანცოტა მოგვიანებით დაიძრა). მას თან ახლდა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი (1769 წლის 11 ოქტომბრისათვის საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 480 კაცი. არასწორია ცნობა, რომლის მიხედვითაც გენერალი გოტლიბ ტოტლებენი მოქმედებდა რუსეთი საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა ქართლის თავადების მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოეგდო ერეკლე II და მოეხდინა ქვეყნის ოკუპაცია.

1769 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, გიორგი და ლევან ბატონიშვილები დიდებულებთან ერთად სოფელ ხოდაში, სახელდახელოდ მოწყობილ ბანაკში, დიდი ზარზეიმით შეხვდნენ გენერალ გოტლიბ ტოტლებენსა და ანტონ მოურავოვს. 30 აგვისტოს ტოტლებენმა უკვე თავის ბანაკში მიიღო ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი. შეხვედრაზე განიხილეს ოსმალეთთან ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმის საკითხი. ერეკლე II-მ იმერეთთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად წამოაყენა: რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა 5.000-კაციანი კორპუსი; თუ ეს ჯარი ზამთრის დადგომამდე ვერ მოახერხებდა საქართველოში შემოსვლას, მაშინ ზამთრამდე მისი ნაწილი (1.500 კაცი) მაინც უნდა გამოგზავნილიყო, ხოლო დანარჩენი (3.500 კაცი) მომავალ წელს უნდა შეერთებოდა საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსს. ერეკლე II-ის გათვლა აბსოლუტურად ზუსტი იყო. რუსეთის 5.000-კაციანი საექსპედიციო კორპუსი, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ლაშქართან ერთად სავსებით საკმარისი იყო სამცხე-საათაბაგოს სტრატეგიული სიმაგრეებიდან (აწყურიდან, ხერთვისიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან) ოსმალთა განსადევნად. (1770 წლის მარტში ერეკლე II-მ 7.000-კაციანი ჯარი შეკრიბა, 2.000 კაცის შეკრებას მეფე კიდევ ელოდა, ხოლო 4.000 კაცი ყარაბაღის ხანის დასახმარებლად ჰყავდა გაგზავნილი. ასე, რომ ქართლ-კახეთში შესაძლებელი იყო 12.000-13.000 მებრძოლის შეკრება. თუ იმერეთის მეფე ამის ნახევარს მაინც შეკრებდა, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 23.000-24.000 ათასს მიაღწევდა). ერეკლე II-მ თითქმის მიაღწია მიზანს. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინა II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3.767 კაცით განსაზღვრა. ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ისა და გოტლიბ ტოტლებენის შეთანხმებისამებრ, მტკვრის ხეობით ახალციხისაკენ უნდა დაძრულიყო. ამ ლაშქრობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. 1770 წლის 2 მარტიდან 24 მარტამდე ტოტლებენი დაახლოებით 1.200 კაცით სურამში იდგა. 17 მარტს ერეკლე II 7.000 კაცითა და 3 ქვემეხით სურამში დაბანაკდა. სურამიდან ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი 24 მარტს ქვიშხეთში გადავიდა, ხოლო 14 აპრილს სადგერთან(ბორჯომის ახლოს) დაბანაკდა. 17 აპრილს ქართველთა და რუსთა ჯარი აწყურის ციხეს მიადგა. აწყურთან ტოტლებენს დაახლოებით 600-700 კაციჰყავდა (დანარჩენი ჯარი გენერალმა სადგერთან დატოვა), თან ჰქონდა 8 ქვემეხი. 17 აპრილსავე დაიწყო აწყურის ციხის ალყა. 18 აპრილს გენერალი გოტლიბ ტოტლებენი თავისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე II ქართველთა ლაშქართან ერთად მტერს შეატოვა ხელში. მეფის თხოვნის მიუხედავად ტოტლებენმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. ერეკლე II-მ აწყურის ციხეს ალყა მოხსნა. 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი და ჯავახეთის გზით თბილისში გამარჯვებული დაბრუნდა.

დღემდე საპოლემიკო საკითხად რჩება გენერალ გოტლიბ ტოტლებენის მოქმედება აწყურის ციხესთან 1770 წლის 18 აპრილს. ტოტლებენის მოქმედების ახსნისას ისტორიკოსებმა ოთხი ვერსია წამოაყენეს. გოტლიბ ტოტლებენი მოქმედებდა: პირველი. თვითნებურად, პირადი შეხედულებით; მეორე. უცხო ქვეყნების (ინგლისის, პრუსიის, ოსმალეთის) დაზვერვის მიერ შეთავაზებული გეგმით; მესამე. ქართლის თავადების წაქეზებითა და მათი თანადგომით; მეოთხე. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც გენერალი გოტლიბ ტოტლებენი მოქმედებდა რუსეთი საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა ქართლის თავადების მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოეგდო ერეკლე II და მოეხდინა ქვეყნის ოკუპაცია.

აწყურიდან დაბრუნებულმა გოტლიბ ტოტლებენმა ქართლის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. ტოტლებენის მიზანს ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმება და ქვეყნის რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში შეყვანა შეადგენდა. გოტლიბ ტოტლებენსა და მის მხარეზე მყოფ ქართლის თავადებს იმედი ჰქონდათ, რომ ერეკლე II აწყურიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა, ქართველთა ლაშქარიც განადგურდებოდა და სამეფო ხელისუფლების გაუქმებას წინ ვეღარავინ აღუდგებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩაფიქრებული გეგმა ტოტლებენმა ვერ განახორციელა, რადგან ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გაიმარჯვა და ლაშქართან ერთად სწრაფად დაბრუნდა თბილისში. ამავე მიზეზით სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი დღეს ჩვენთვის უცნობია.

იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში

საიმპერატორო კარმა ომში მოკავშირედ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხებისა და სახელმწიფოების გამოყენების გეგმა შეიმუშავა. რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების აზრით, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მიმხრობა ადვილი იქნებოდა, რადგან იმერეთის მეფე სულთნის ვასალი იყო და ოსმალეთს დიდი ხანია ებრძოდა. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა რუსებს საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგან ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოში ჯარის გამოგზავნისგან ომის დასაწყისში თავს იკავებდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იმერეთის მეფის სოლომონ I-თვის ჯარი გაეგზავნათ. 1769 წლის 27 ივნისს საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის ,,მთავარ მეთაურად“ რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი გერმანელი გრაფი გოტლიბ კურტ ჰენრიხ ტოტლებენი დაინიშნა. საექსპედიციო კორპუსი არცთუ მრავალრიცხოვანი იყო: 3 ასეული (411 კაცი) და 6 ქვემეხი.ცხადია, მცირერიცხოვანი საექსპედიციო კორპუსი იმერეთის მეფეს საჭირო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. 1769 წლის მარტში პეტერბურგში ჩასული სოლომონ I-ის ელჩი ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთში 5 ათასიანი ჯარის გაგზავნას სთხოვდა. იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გამოჩენა ძალზე გაღიზიანებდა ოსმალეთის სულთანს. უფრო დამაფიქრებელი იყო ის, რომ საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა სახელგატეხილი გენერალი გოტლიბ ტოტლებენი. შვიდწლიანი ომის (1757-1763 წწ.) დროს ტოტლებენი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა და რუსეთის არმიის ერთ-ერთ კორპუსს მეთაურობდა. 1761 წელს იგი პრუსიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯის ვევაში სამცხე-საათაბაგო ეკატერინა II-ს იმერეთის მეფისათვის ებოძებინა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მხრიდან, შეცდომა იყო. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდ სამხედრო ძალას გადმოისროდა და რეგიონიდან ოსმალეთის გაძევებას დაისახავდა მიზნად. ერეკლე II-მ და სოლომონ I-მარაფერი უწყოდნენ იმ საიდუმლო გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც პეტერბურგში მიიღეს. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში დიდი ომის წარმოებას არ აპირებდა. რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმით ერეკლე II-მ და სოლომონ I-მა მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. სოლომონ I-ს ომის დასაწყისისათვის უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან (იმერეთის მიმართ ოსმალეთის დამთმობი პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებითაც იყო განპირობებული). ომში ნეიტრალიტეტით იმერეთის მეფე ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. კიდევ უფრო გაირთულა მდგომარეობა ერეკლე II-მ. თბილისიდან გაძევებულმა ოსმალეთის ელჩებმა შეიტყვეს, რომ ომში ნეიტრალიტეტის თაობაზე მოლაპარაკების შეწყვეტისა და მათი ქვეყნიდან გაძევების მიზეზი თბილისში რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა იყო. ელჩების გაძევებით ერეკლე II-მ ოსმალეთთან ურთიერთობა გაირთულა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ოსმალეთის წინააღმდეგ ომშირუსეთის მხარეზე ჩაბმა დიდ შეშფოთებას გამოიწვევდა ირანში და დაძაბავდა არა მარტო ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობას, არამედ ირან-ოსმალეთის ურთიერთობასაც. არც სოლომონ I-ს და არც ერეკლე II-ს 1769 წელს არ შეიძლება ცოდნოდათ უმთავრესი: რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი იმერეთს სასტიკად ააოხრებდა, კარგი დღე არც ქართლ-კახეთს დაადგებოდა. ასე, რომ მეფეები დიდ რისკზე მიდიოდნენ.

1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა საექპედიციო კორპუსი – 480 კაცი და 4 ქვემეხი. 1769 წლის 12 აგვისტოს გენერალი გოტლიბ ტოტლებენი ასიოდე კაცითა და ორი ქვემეხით მოზდოკიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა (ჯარის ძირითადი ნაწილი მოზდოკიდანცოტა მოგვიანებით დაიძრა). მას თან ახლდა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი (1769 წლის 11 ოქტომბრისათვის საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 480 კაცი. არასწორია ცნობა, რომლის მიხედვითაც გენერალი გოტლიბ ტოტლებენი მოქმედებდა რუსეთი საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა ქართლის თავადების მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოეგდო ერეკლე II და მოეხდინა ქვეყნის ოკუპაცია.

1769 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, გიორგი და ლევან ბატონიშვილები დიდებულებთან ერთად სოფელ ხოდაში, სახელდახელოდ მოწყობილ ბანაკში, დიდი ზარზეიმით შეხვდნენ გენერალ გოტლიბ ტოტლებენსა და ანტონ მოურავოვს. 30 აგვისტოს ტოტლებენმა უკვე თავის ბანაკში მიიღო ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი. შეხვედრაზე განიხილეს ოსმალეთთან ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმის საკითხი. ერეკლე II-მ იმერეთთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად წამოაყენა: რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა 5.000-კაციანი კორპუსი; თუ ეს ჯარი ზამთრის დადგომამდე ვერ მოახერხებდა საქართველოში შემოსვლას, მაშინ ზამთრამდე მისი ნაწილი (1.500 კაცი) მაინც უნდა გამოგზავნილიყო, ხოლო დანარჩენი (3.500 კაცი) მომავალ წელს უნდა შეერთებოდა საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსს. ერეკლე II-ის გათვლა აბსოლუტურად ზუსტი იყო. რუსეთის 5.000-კაციანი საექსპედიციო კორპუსი, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ლაშქართან ერთად სავსებით საკმარისი იყო სამცხე-საათაბაგოს სტრატეგიული სიმაგრეებიდან (აწყურიდან, ხერთვისიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან) ოსმალთა განსადევნად. (1770 წლის მარტში ერეკლე II-მ 7.000-კაციანი ჯარი შეკრიბა, 2.000 კაცის შეკრებას მეფე კიდევ ელოდა, ხოლო 4.000 კაცი ყარაბაღის ხანის დასახმარებლად ჰყავდა გაგზავნილი. ასე, რომ ქართლ-კახეთში შესაძლებელი იყო 12.000-13.000 მებრძოლის შეკრება. თუ იმერეთის მეფე ამის ნახევარს მაინც შეკრებდა, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 23.000-24.000 ათასს მიაღწევდა). ერეკლე II-მ თითქმის მიაღწია მიზანს. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინა II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3.767 კაცით განსაზღვრა. ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ისა და გოტლიბ ტოტლებენის შეთანხმებისამებრ, მტკვრის ხეობით ახალციხისაკენ უნდა დაძრულიყო. ამ ლაშქრობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. 1770 წლის 2 მარტიდან 24 მარტამდე ტოტლებენი დაახლოებით 1.200 კაცით სურამში იდგა. 17 მარტს ერეკლე II 7.000 კაცითა და 3 ქვემეხით სურამში დაბანაკდა. სურამიდან ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი 24 მარტს ქვიშხეთში გადავიდა, ხოლო 14 აპრილს სადგერთან(ბორჯომის ახლოს) დაბანაკდა. 17 აპრილს ქართველთა და რუსთა ჯარი აწყურის ციხეს მიადგა. აწყურთან ტოტლებენს დაახლოებით 600-700 კაციჰყავდა (დანარჩენი ჯარი გენერალმა სადგერთან დატოვა), თან ჰქონდა 8 ქვემეხი. 17 აპრილსავე დაიწყო აწყურის ციხის ალყა. 18 აპრილს გენერალი გოტლიბ ტოტლებენი თავისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე II ქართველთა ლაშქართან ერთად მტერს შეატოვა ხელში. მეფის თხოვნის მიუხედავად ტოტლებენმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. ერეკლე II-მ აწყურის ციხეს ალყა მოხსნა. 1770 წლის 20 აპრილს

გაგრძელება გვ.9 ▶

მიმართვა ქართველ მწერლებს

დასაწყისი გვ.4 ▶

ამ ყაჩაღობისადმი ჩემი დამოკიდებულება სახელდახელოდ გამოვაქვეყნე „ასავალ-დასავალის“ ინტერვიუში.

საზოგადოება, მასმედია აღშფოთებულია.

ჩემს ბინაში ტელეფონის ზარი არ წყდება.

რას აპირებთო, მეკითხებიან მწერლები.

იქნებ საშიმშილოდ დავჯდეთო.

ამათ გულს ვერაფრით აუჩუყებ და თავსაც ვერ შეაცოდებ.

მეორედ მოსვლაა საქართველოს თავზე.

„ახალ თაობაში“ და „ქრონიკაში“ დაბეჭდილია ჩემი ინტერვიუები. სააკაშვილის ხელისუფლებას გამყიდველებად ვაცხადებ.

ყოველდღე დავდივარ და 3 საათი ვდგავარ მწერალთა კავშირის წინ მაჩაბლის ქუჩაზე.

ჯერჯერობით არც რემონტი დაუწყიათ და არც არავინ შეუსახლებიათ.

როგორც ნოდარ გრიგალაშვილმა მითხრა, დიდი ბრძოლები მიდის კულტურის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროებს შორის: კულტურის სამინისტროს სურს ჩვენი სასახლე „მწერლის სახლად“ გამოაცხადოს და შიგ შეასახლოს თბილისში არსებული ხელისუფლების მომხრე ლიტერატურული გაერთიანებანი, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს სურს შენობა სარფიან ფასად გაყიდოს. როგორც ჩანსო, პრეზიდენტი ეკონომიკის სამინისტროს უჭერსო მხარს.

თუ ასეა, მთლად დაღუპულია ჩვენი საქმე.

გამოვუშვი „მწერლის გაზეთის“ საგანგებო ნომერი.

ეს გაზეთი ისტორიას შემოუნახავს უტყუარ საბუთს იმის შესახებ, თუ რა მოხდა 2007 წლის 21 აგვისტოს.

2 სექტემბერს პოლიციელებს დიდხანს ვესაუბრე.

რას სჩადით-მეთქი, ბიჭებო, სად გაიზარდეთ, ნუთუ ჩემგან, რუსთაველის პრემიის ლაურეატ რევაზ მიშველაძისგან იცავთ მწერალთა სასახლეს-მეთქი?

არაო, ბატონო რეზო, შენ კარგად გიცნობთ და ძალიანაც გვიყვარხართო, იმ ღამით ჩვენ გვითხრეს, რომ ვიღაცეებმა ძალით დაიკავეს მწერალთა კავშირის შენობა და უნდა გამოვიყვანოთო – ჩვენ გვითხრეს, რომ მწერალთა შენობაში ლტოლვილები არიან შეჭრილიო. ახლა ხომ ხვდებით, რა ცოდვა ჩაგადენინეს-მეთქი, ახლა ვხვდებით, მაგრამ უკვე გვიანიაო. ისე ჩვენიც უნდა გაიგოთო, ცრემლმომდგარმა პოლიციელმა მითხრა, ბრძანება რომ არ შევასრულოთ სამსახურს დავკარგავთ და ხომ იცით, რა ძნელია დღეს სამსახურის შოვნაო.

შემეცოდა ბიჭები. მერე მთხოვეს, თუ შეიძლება, თქვენთან სურათის გადაღება გვინდაო. გადავიღეთ სურათი.

ორი საათის მერე ისევ მივადექი პოლიციელებს. მივიტანე განცხადება:

„ყურადღება,

ამ ოთახში 2 თვე ცხოვრობდა აკაკი წერეთელი.

იგი მემორიალური, ისტორიული ოთახია და რემონტს არ ექვემდებარება.

გთხოვთ შთამომავლობისთვის დაიცვათ ამ ოთახში არსებული ისტორიული ნივთები“.

თუ შეიძლება ეს განცხადება ჩემს კაბინეტის კარზე გააკრათ-მეთქი. ცოტა შეყოყმანდნენ და ბოლოს დამთანხმდნენ.

მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია კვლავ ქუჩაშია.

არავითარი იმედი ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისა არ არსებობს.

მივედი კულტურისა და ეკონომიკის მინისტრებთან.

მე, 67 წლის (მათ მამებზე ასაკით უფროსი) კაცი 4-4 საათი მალოდინეს კარებთან ორივემ. ბოლოს (არც გამოსულან კაბინეტიდან, ბოდიში მაინც რომ მოეხადათ) მდივნის პირით გამომიცხადეს:

არ გვცალია და ვერ მიგიღებთო.

არც უთქვამთ, როდის მოვიდე, ან მოვიდე თუ არა, საერთოდ.

ასეთი ხელისუფლება ჰყავს საქართველოს.

ეს გაუზრდელი მინისტრები, ეს ცინიკოსები დაიმსახურა ჩემმა ქვეყანამ?

რევაზ მიშველაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

შესისთვნა ადამიანები გვიმგავლოს დმერთმა!

სულ ახლახან საქართველოს ტელევიზიით ფრიად სასიხარულო ამბავი შევიტყეთ, – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, მხარის სახელოვანი ადამიანის, ცნობილი მწერლისა და ფოლკლორისტის გიორგი ზედგინიძის ვაჟი, ვლადიმერ (ვოვა) ზედგინიძე დაჯილდოვდა სამოქალაქო სექტორის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს წარმატებული ადამიანის – პერსონა – 2019 – „საქართველოს ოქროს სახელების“ საპატიო დიპლომით.

ვლადიმერ ზედგინიძეს კარგად იცნობს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა და, როგორც ღირსეული ოჯახის შვილი, დიდი ენთუზიაზმით აგრძელებს იმ გზას, რა მიმართულებითაც მისი მამა იღწვოდა და ქვეყანას არაერთი დიდი და სასიკეთო საქმე გაუკეთა. როგორც ისტორიკოსსა და სამართალმცოდნეს, რეგიონული თუ რაიონული ადმინისტრაციული ორგანოების ყოფილ ხელმძღვანელს, ქველმოქმედს, ახალციხის ყოფილ მერს, 1989-2005 წლებში საქართველოში განვითარებული ყველა მოვლენისა თუ ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიურ მებრძოლს, რეგიონის „ვეტერანთა კავშირის“ თავმჯდომარეს, სადაც კი უმოღვაწია, ყოველთვის გამოირჩევა დიდი სამოქალაქო აქტივობებით და განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ფართო მასებზე, რადგან მის მართალ და დამაჯერებელ სიტყვას ყოველთვის ჰქონდა და აქვს თავისი ფასი.

ეს ჯილდოც, რომელიც წინასაახალწლოდ გადაეცა, მხოლოდ ამის დასტურია და მიგვაჩნია – სხვაგვარად არც შეიძლება მომხდარიყო. ახალციხეში (და არა მარტო აქ) რამდენიმე ათეული წელია, თითქმის ყველა დიდ შეხვედრას განსაკუთრებულ პეწს სძენს ბატონი ვლადიმერის გამოსვლები და, ამდენად, ამ ღირსეულ და დამსახურებულ ჯილდოს სულითა და გულით ვულოცავთ.



იმასაც დავსძენთ: – რომ არა ბატონი ვლადიმერის განსაკუთრებული მონდომება, მზის სინათლეს, ალბათ, კიდევ დიდი ხანი ვერ იხილავდა მამის მიერ შედგენილი „ჯავახური ლექსიკონი“, რითაც ქართულ ლექსიკოგრაფიას დიდი საჩუქარი დაუტოვა. მისი დამსახურებაა, რომ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ ხშირად იბეჭდება ბატონი გიორგის დღემდე გამოუქვეყნებელი პუბლიკაციები, რაც ამაღლებს ჩვენი გაზეთის ავტორიტეტს და მის დონეს.

გილოცავთ ჩვენო ერთგულო მეგობარო, დამსახურებულ აღიარებას და ღმერთმა ჰქნას, ამ ახალი – 2020 წლისთვისაც იმდენი საქვეყნო საქმე გეკეთებინოთ, რასაც ახლა საქმის ერთგულებით აკეთებთ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით,
ავთანდილ ბერიძე

ნიღოდეინდლის საეუსიკო სკოლაე უეასპინაძლა

ისტორიის საკუთრება გახდა 2019 წელი, ხოლო ახალი – 2020 წელი ძალაში შედის. როგორც მთელ ქვეყანაში, საზეიმო განწყობა საქართველოს უკიდურეს კუთხეში – ჯავახეთშიც კარგად იგრძნობა და ეს საზეიმო განწყობა მუსიკალურ სკოლაში გამართული კონცერტითაც გამოიხატა. საზეიმო კონცერში მონაწილეობა მიიღეს ამავე სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“ და დასარტყმელ ინსტრუმენტალურ (დოლი) საშემსრულებლო ჯგუფებმა. ღონისძებაზე შესრულებული იქნა როგორც სომხური, ასევე ქართული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრები (პედაგოგები თამაზ მელიქიძე, სარიბეგ კარსლიანი).

მერიის (მერი ანივარდ მოსოიანი) გადაწყვეტილებით სომხეთსა და საქართველოში ჩატარებულ ფესტივალებში მიღწეული წარმატებებისათვის დასახელებული პედაგოგები დაჯილდოვდნენ საპატიო დიპლომებით.

ამალია მღდესიანი

ახალი გამოცემები

„მეისტორიე“

ქართული საისტორიო საზოგადოება კარგად იცნობს საზოგადო მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გელა საითიძეს, რომელსაც ახლახან 80 წელი შეუსრულდა და საიუბილეოდ სქელტანიანი სამეცნიერო კრებული – „მეისტორიე“ მიუძღვნეს, რომლის მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

კრებულის შესავალ ნაწილში აკადემიკოსი როინ მეტრეველი გულწრფელად აღნიშნავს მეცნიერის დიდ დამსახურებაზე ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში, ვრცლად მოგვითხრობს მის ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობაზე და დასძენს: *„წინამდებარე კრებული, რომელსაც საოცრად, მოძებნილი სახელწოდება „მეისტორიე“ აქვს, ავტორთა შემადგენლობით, სამეცნიერო სტატიათა აქტუალობით, თავისი სტრუქტურით, მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. თავისთავად ამ კრებულში სტატიათა მოთავსება, უპირველესად ყოვლისა, ბატონი გელა საითიძის, როგორც მეცნიერისა და მოქალაქისადმი კეთილგანწყობაა.“*

კრებულში ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი ბატონ გელას ცხოვრებისა და მოღვაწეობის განვლილი დიდი გზა, თანმიმდევრობითაა გადმოცემული მისი შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც ძირითადად მოიცავს 1958-2019 წლებში შექმნილ შრომებს, გამოქვეყნებულს როგორც პერიოდული პრესის ფურცლებზე, ასევე სამეცნიერო კრებულებში, მის მიერ გამოცემულ წიგნებში.

კრებულში – „მეისტორიე“ – დარგობრივადაა შესული ცნობილი ქართველი მეცნიერების შრომები, მათ შორის გამოყოფილია: „საქართველოს ისტორია შუა საუკუნეებში“, „ახალი და უახლესი პერიოდი“, „წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“, „ეთნოლოგია“, „ეკლესიის ისტორია“, „მსოფლიო ისტორია“, „ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა“, „ფილოლოგია“, „ფილოსოფია“, „რეცენზიები, დასკვნები, გამოხმაურებები გელა (გიორგი) საითიძის შრომებზე“. აქვეა საიუბილეო მილოცვები.

კრებულში შესულია 40-ზე მეტი ავტორის სამეცნიერო შრომა, რომლებიც მაღალი სამეცნიერო ღირებულებებით გამოირჩევა და მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს.

კრებული იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი გამდიდრებულია სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტო მასალებით, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მეცნიერის როგორც პირად ცხოვრებაზე, ასევე მასთან ერთად მოღვაწე სამეცნიერო საზოგადოებაზე, ახლოს გვაცნობს ცნობილი მეცნიერის დიდ ოჯახს, მის საახლობლოს.

კრებული გამოსცა სარედაქციო კოლეგიამ, რომლის შემადგენლობაშია: *ვახტანგ გურული, ბუბა კუდავა, სულხან კუპრაშვილი, როინ მალაყმაძე, გოჩა საითიძე, ავთანდილ სონღულაშვილი.* კრებული იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ იგი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაისტამბა გამომცემლობა „არტანუჯში“.

ავთანდილ მესხი

„ლექსო, არ დაიკარგები“!

ჭაჭკარი

თბილო და მუდამ მზიანო
ჭაჭკარო, ჩემო ჭაჭკარო,
შენ სიცოცხლე ხარ კაცისა
და უკვდავების სამყარო.

გაღმა-გამოღმა გიცავენ
ცადაზიდული მთებია,
შუა ჩაგიდის მდინარე,
ბანს აძლევს დიდი კლდენია.

სამარადისოდ დაგყურებს
თმოგვის ციხე და ვარძია,
რომლებმაც ჩვენი სახელი
მაღლა, ზეცამდე ასწია.

ვარძია ერის საუნჯე –
ჩვენი გული და თვალია,
მისი მოვლა და შენახვა
ყველა ქართველის ვალია.

ჩემო ჭაჭკარო – სამხრეთის
ტკივილის ცრემლიც გდენია,
უტყუარ მატიანეს ქმნი, –
მოწმეა სალი კლდენია.
აღფრთოვანდება ნამდვილად
ჭაჭკარო, შენი მნახველი,
სადაც წავა და წამოვა
გაჰყვება შენი სახელი.

თითქოს ნანინას გიმღერის
დედამდინარე მტკვარია,
ოთხივე კუთხით გფარავდეს
ვანის ქვაბების ჯვარია.

მთქმელი **ირაკლი ნათენაძე**,
88 წლის, სოფელი გოგაშენი,
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი.
2019 წელი

ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში

◀ დასაწყისი გვ. 7

შიარ დაერწმუნებინა. თუ ერეკლე II და სოლომონ I ოსმალეთის წინაღმდეგ ომში არ ჩაებმებოდნენ, ოსმალებს საშუალება მიეცემოდათ სამხრეთ კავკასიაში განლაგებული ჯარისა და არტილერიის ნაწილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გადაესროლათ, სადაც ომის ბედი წყდებოდა.

4. 1768-1769 წლებისათვის შექმნილ ვითარებაში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების თაობაზე რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არაფერი იყო მოულოდნელი და ალოგიკური. ამ ხელსაყრელ მომენტს, ცხადია, რუსეთი ხელიდან არ გაუშვებდა – ჯარის შემოყვანა საქართველოში ყოველთვის ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი.

5. ერეკლე II-თვის, ცხადია, უცნობი იყო რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებული გადაწყვეტილება, ამიტომ მეფე ომისათვის სერიოზულად ემზადებოდა.

6. გოტლიბ ტოტლებენის, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის შეთანხმებით ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი მტკვრის ხეობით ახალციხის დაკავების მიზნითუნდა დაძრულიყო. ახალციხის დაკავება სტრატეგიული თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული იყო. ერეკლე II-თვის ახალციხის დაკავება იმიტომაც იყო ხელსაყრელი, რომ ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) ჩაბუდებულ და კახეთსა და ქართლში მოთარეშე ლეკებს თავშესაფარი აღარ ექნებოდათ. ამასთან ერთად, ერეკლე II-მ შეცდომა დაუშვა, როცა გოტლიბ ტოტლებენს ახალციხეზე ლაშქრობის მარშრუტის შერჩევისას დაეთანხმა. უმჯობესი იქნებოდა ახალციხეზე ლაშქრობა იმერეთიდან სამცხეში მიმავალი გზების გამოყენებით განხორციელებულიყო. იმერეთში რუსის ჯარის დაბანაკება და იქედან ოსმალეთის წინაღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყება დააშინებდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც იმერეთის მეფეს ეურჩებოდნენ. 1768-1770 წლებისთვის სოლომონ I-ის მდგომარეობა იმდენად მერყევი იყო, რომ 1770 წლის მარტ-აპრილში მეფემ ერეკლე II-ისა და ტოტლებენის დასახმარებლად ქართლში ჯარი ვერ გამოაგზავნა. ასეთ მძიმე ვითარებაში იმერეთში რუსეთის ჯარის შესვლას და იმერეთიდან ახალციხეზე გალაშქრებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თუ მაინცადამაინც აუცილებელი იყო ახალციხეზე აღმოსავლეთ საქართველოდან ლაშქრობა, მაშინ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი თბილისიდან ჯავახეთის გავლით შეჭრილიყო სამცხეში და ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე და აწყური დაეკავებინა. იმერეთიდან ან ჯავახეთიდან სამცხეში შეჭრა ხელს არ აძლევდა გოტლიბ ტოტლებენს, მას ერეკლე II-ის წინააღმდეგ ქართლის თავადების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

7. ქართლის თავადებიდან გოტლიბ ტოტლებენს მხარს ვინ უჭერდა,ზუსტად ცნობილი არ არის. დადასტურებულია, რომ ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიურად იყო ჩართული ორი თავადი – დავით ქსნის ერისთავი და ზაალ ორბელიანი. 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა მიავლინა. ელჩობის ერთ-ერთ წევრს ზაალ ორბელიანს, როდესაც შეუტყვია, რომ ეკატერინა II უკმაყოფილო იყო ერეკლე II-ის პოლიტიკით, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში განუცხადებია: ,,თუ მეფე (ეკატერინა II – ვ.გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა ან სოლომონსაო.“ როგორც ვხედავთ ზაალ ორბელიანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების უშედეგო მცდელობის შემდეგაც კი აგრძელებდაღალატს.

8. რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ოფიცრებმა გენერალ გოტლიბ ტოტლებენის მოღალატური მოქმედება იმთავითვე შენიშნეს და პროტესტი გამოთქვეს. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო – ტოტლებენის საქციელი სერიოზული ეჭვებს აღძრავდა. ოფიცრების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ტოტლებენი რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ოფიცრებმა კი, ცხადია, ეს არ იცოდნენ.

9. ერეკლე II-ს პირველი ეჭვი გოტლიბ ტოტლებენის მიმართ სადგერში გაუჩნდა. ერეკლეს რჩევის მიუხედავად ტოტლებენმა რუსული საექსპედიციო კორპუსის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერში დატოვა. აწყურთან რუსებს სულ 8 საველე ქვემეხი ჰქონდათ. ეს ქვემეხები სადგერიდან აწყურისაკენ ქართველებმა გადაიტანეს. რატომ დატოვა ტოტლებენმა ჯარის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერთან? ცხადია, ტოტლებენი აწყურის ციხის აღებას არც აპირებდა. მისი მიზანი ერეკლე II-ისა და ქართველთა ლაშქრის მტკვრის ხეობაში შეტყუება, აწყურის აღებისთვის ბრძოლის დაწყება და შემდგომ ქართველთა ბრძოლის ველზე მიტოვება იყო. ტოტლებენს საკმაოდ კარგი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, მან შესანიშნავად იცოდა თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა რუსთაგან მოულოდნელად მიტოვებული ქართველთა ლაშქარი. ტოტლებენის გეგმის მიხედვით, ერეკლე II ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, განადგურებულიყო ქართლ-კახეთის ლაშქრის ძირითადი ნაწილი. ამის შემდეგ რუსის ჯარი ადვილად დაიკავებდა ქართლის სტრატეგიულ პუნქტებს და მოღალატე თავადების დახმარებით მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცებდა. ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსასვლელი გზა ამ დროისათვის უკვე გახსნილი იქნებოდა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ჯარის გადმოყვანა არ გაჭირდებოდა.

10. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ დგინდება, რა გეგმები ჰქონდა რუსეთს ქართლ-კახეთში შეთქმულების წარმატების შემთხვევაში – ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და უშუალოდ უერთდებოდა რუსეთს, თუ ერეკლე II-ის ნაცვლად ტახტზე რუსული ორიენტაციის ბაგრატიონს (ქართლის ბაგრატიონს) აიყვანდნენ. არ იყო გამორიცხული ქართლის თავადების ოცნების ასრულებაც – ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა.

11. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმა ვერ განხორციელდა – შეთქმულება ჩაიშალა. ასპინძის ბრძოლიდან დაბრუნებულმა ერეკლე II-მ ტოტლებენის მოქმედება აღკვეთა. რუსეთის საექსპედიციო კორპუსი იმერეთში გადავიდა.

12. ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ერთის მხრივ, ერეკლე II მიხვდა, რომ პროირანულ ორიენტაციას რუსეთი აღარ აპატიებდა და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე მისი ტახტიდან ჩამოგდებას კვლავ შეეცდებოდა. თუ ერეკლე II მეფობას არ დაკარგავდა, ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა და იქ რუსეთის ერთგული ბაგრატიონების (ქართლის ბაგრატიონების) გამეფება,ირანის დასუსტების შემთხვევაში, რუსეთს არ გაუჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ერეკლე II შიშობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან სამხედრო- პოლიტიკური კავშირით განაწყენებული ირანი და ოსმალეთი ქართლ-კახეთის მეფესაღარ ენდობოდნენ. ერეკლე II-სარჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაეკეთებინა.

1770-1771 წლები გარდატეხის პერიოდია ქართლ-კახეთის სამეფოსა და საერთოდ მთელი საქართველოს (მთელი კავკასიისაც!) ისტორიაში. ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაცია არჩია და მისი განხორციელების გზების ძიებას შეუდგა.

ვახტანგ გურული,
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ძველი გაზეთებიდან

ეგზავრიდ ჯიჯი

ახალციხური ფელეტონი

ამ ქვეყანას ყველანი მგზავრნი ვართ, დღიდან დღეზედ წინ საიქიოსკენ მიმავალნი, სულისა და ხორცის ამხანაკობითა; ხორცი მოძრავი სულია, რომელიც, ვითა ცხენზედ, მიაქანებს მას, წინათ გაშლილ ტრიალ ქვეყნის თვალ გადუწვდომელ სივრცისაკენ და დადის მის მრავალ ხვანჯიან აღმართ-დაღმართიან გზა-კვლებზედ! რამდენადაც კარგი ნახედნ-ნაწვართნი თოხარიკი ცხენი ჰყავს, იმდენი უფრო სიმარჯვით შეუძლია მგზავრობა კაცსა! მგზავრობაში რა გარჩეულებაც აქვსთ თოხარიკსა და ჯაგლაგ ცხენთა, ისევე გარჩეულება აქვსთ სწავლულ და უსწავლელ პირთა თავიანთ ცხოვრებაში: ერთისთვის ყოველ გვარი ცხოვრება, ჭირი იყოს თუ ლხინი, სასიხარულო არის; მეორესთვის კი, ლხინიც ჭირია და ჭირი ხომ უარესად უფრო ჭირი!

ყოველ კაცს ჰმართებს უკეთესობაზედ წარმატება. მეტად ძვირფასი არის გონიერი კაცისთვის, თითოეული წუთ-წამნი თავის სიცოცხლისა! ნეტარი იმას, ვინც ასრულებს ყოველთვის მოვალეობასა ამ ქვეყანაზედ სინიდისიანად. სულიც კმაყოფილი ჰყავს იმისთანას და ხორციცა, თავის ნიჭიერების რიგზედ ხმარებითა! ჩვენ კი ამ გვარი ბედნიერებისაგან ძლიერ შორს ვართ, დავდიგართ, დავეხეტებით უთავბოლოდ, ამ ცოდვილ ქვეყანაზედ; ვსტეხთ მთაბარს, ზღვას შევდიგართ და ხმელეთს გავდიგართ, არა გვაქვს თვალთა რული, დღე ღამ მოსვენება, არც სახლ-კარი, არც სარჩო-საბადებელი და არც არა თავ-შესაფარი ადგილი, ხის ჩრდილი, ჩერო სადმე; მოძრავთათვის თუ ასრე სატირელ-სავაგლახელია ეს წუთი სოფელი უმოძრავო ზანტ, ზარმაცთათვის რაღა იქნება? თქვენ თითონ განსაჯეთ.

ყოველ კაცს თავის სიცოცხლეში, ვალი აქვს, მუდამ უყვარდეს ღმერთი, თავის თავი და თავისი მოყვასი: უამართოდ არავინ ითქმის სრული კაცი და არც სიცოცხლე-სიცოცხლედ ითქმება: ისე, როგორც უძვლოდ, უსისხლოდ და უხორცოდ არ შეიძლება ხორციელი კაცის ცხოვრება და თუ სადმე მოხდეს ამ ნაირი სრულ იშვიათი სასწაული, ხომ იმას სახიჩროებას და საოცრებას ვეტყვით, ბუნებითის და საზოგადო რიგ-კანონის გარედ მოვლინებას! სამწუხაროდ ჩვენდა, ამ ნაირი სახისარ-საოცრება მეტად მრავალია ჩვენს ერობაში: მოჰყვეთ კეთილ-შობილ თავად-აზნაურთაგან, მოხელე მოსამართლეთაგან, მოქალაქე გლეხ-მუშა ერობამდის; ამათ სასულიერო და სამხედრო პირნიც რომ დაუმატოთ, მეტის-მეტს სიმრავლეს შეადგენს, რომელთ კერპებათ აუმართიათ თავიანთი თავმოყვარეობა თავიანთი კერძი სარგებლობა, სიმართლით თუ უსამართლოდ, თაყვანს სცემენ მას და სხვას კი არას დაეძებენ: ღმერთიც დავიწყებული აქვსთ, თავიანთი მოყვარეც და სამშობლო მამულიც! ისე ცხოვრობენ მარტო მხოლოობითად, თითქო პოლიტიკურნი სიტყვიერნი კაცნი არ იყვნენ, ბალახივით მოსულიყვნენ და ბალახივით უნდა წავიდნენო! სრულ ცოტა მცირედნი არიან ნამდვილ მნიშვნელ რიგ-კანონების მასრულებელნი, თავიანთი ნიჭ-მადლების მაწარმოებელნი, თავიანთ ტომ მოდგმობის დამაწინაურებლად.

მართალია ამ გვარ ფოლხინი გარემოებებით მოცულ ქვეყანაში მგზავრობა ძნელი რამ უნდა იყოს, მაგრამ გაჭირვება, თავგანწირვა როდი ფიქრობს მაგაებსა? მეც ამ სიძნელით გადავადგი ერთი ნაბიჯი. ჩემი სამშობლო ახალციხე გადავათვალიერე კიდევ, ისევ თავის ტყავ-კანში დამხვდა ადრინდელებ, ფეთქამს სულ ამომავალსავით, სიკეთის ნიშნები კი არა ეტყობა-რა! მის საცოდავებას, რომ ვერ გაუძელ, სოფლად გავეშურე, მოვსძებნე ძველი ციხე, ტაძრები. ერთ ღამეს უდეს გავათენე და მეორე დღეს ფოცხოვის გზას დავადეგ, გარდავიარე წარბასთუბანი (წარნათუბანი), ბაღჩიანი (პატარა სოფელია მაჰმადიან მესხებისა). შესანიშნავია აქაური წყარო, რომელიც, თურმე, რამდენიმე კვირის განმავლობაში ყიყვინებს, ყიყვს უქრობს და სრულიად ათავისუფლებს ამ დამახინჯებულ სენთან ადამიანსა!

ორჭოსანის მოსაზღვრედ არის ბადელა, ოსმალთ სამზღვარი. გავიარეთ ამ სოფელში, რომელიც მიწა წყლით, სახნავ-სათესით, ბაღჩებით, შესანიშნავია მრთელს ბოცხეევში, ამას ეახლოვებიან სოფლები: ფაფალო, სტეფანწმინდა, ფეტკუბანი, ჭილვანი, მღვიმე და სხვ. ბადელას გამოღმით კარახტინი იყო, ახლა მთელი წყლის პირის ვაკეები, ყანებად უქცევიათ წყალთბილელებს; ბადელის მხარედ გაუჭრიათ ახალი შარა გზები, მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლია, არტაანიდგან, აჭარიდგან და შავშეთიდგან, ყველგან შესულიყო ცელი ყანებში, სთიბავდნენ, მკიდნენ, თაფულემდნენ და ზვინებსა სდგამენ უჩუმრად მოწყენით და ხლოქინით; ამათი სოჩოლფოტის მიზეზი ამ პაპანება ზაფხულის ცხელ დღეში, რამაზანი (მარხულობა) იყო, რომ სიმწყურვალით, სიმშილით პირი ამოხმობოდათ და შეჭივრება სულს გულს უხუთავდათ მეტად! წყალ-გაღმით, ჯაყისმანის ქვემოდ, მდებარეობს ცანცარის ჭალა, რომელიც ფლოშტების კაზახების სათივედ იყო დატოვებული, ახლა ესეც სრულ ყანებად უქცევიათ. ამ ჭალის თავ-ბოლოს არის ძველებური ზღაპრის (ლეგენდის) ნაშთები მყვინჩავის (ყივჩავის) საფლავი და მისი მკვლელის მესხისა, რომლის დავედრება ისევ ახსოვთ ძირითად მცხოვრებთა ლექსად:

„ვაი თუ ჩავჰყვე, ჩავარდე,
ორმოსა ბნელეთისასა,
ვაი თუ მახეს გავება, მობლარდნილს
კანაფისასა,
ნადირის კვალზედ შემოვჰყევ, ნახტომსა,
ჯერნებისასა,
სად ვიშოვნიდი საყვარელს,
ასე ჩემის გულისასა,
დაუყევ ხევი, მივადეგ გასავალს იწრო გზისასა,
იქ დამხვდა ქუში მყვინჩავი, მწოლარი
საგრილს ხისასა;
საზრდელს პურს მთხოვდა, ვაჭმევდი,
ვურჩევდი თათუხისასა,
ხორცსა მთხოვდა, მივართმევდი,
ხოხბებ და გნოლ კაკბისასა,
ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი,
ნაქებსა ბადაგისასა,
ცოლი მთხოვა და არ მივეც,
ჩემი ვარჩიე სხვისასა,
გარდმოჰყო ხელი, დაავლო ნაწნავთა
გიშრის თმისასა:
სატევარს ხელი გავიკარ, ნაჩუქარს
ცოლის ძმისასა,
ვახსენე ღმერთი, გარდავჰკარ,
წვერმან უწია ქვიშასა,
წელ-წული ძირს დავუფინე,
ვატკინე გული პირშავსა,
გავეშდა, სული მწარეა, რაც ეძლო
დევთ ძალისასა;
ერთი ასეთი გარდმამცხო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა!
თავს ის მოკვდა და ბოლოს მე,
ჭალასა ცანცარისასა!
ვინც გაივლით, მახსენებდით,
მორჩით შიშს ზარზარისასა!“

ეს ზღაპარი იმ სკვითების დროისია, როცა 634 წლის წინ ქრისტეზედ გარდმოვიდნენ არალის ტბის მიყოლებაზე იმიერ კავკასამდის განმბრებულნი და დაიჭირეს მრთელი არე ეგვიპტემდის, 28 წელს. ამათ უწოდეს ჩვენს მდინარეს იორსა აბანთა, თავიანთ წინამძღოლის აბანთას პატივად; ჩვენს გუგარს დასდევს სახელად ჯავახეთი, თავიანთ მოთავე ჭავას მიხედვით; მგონი ორბელიანების წინაპარი ჯამბაკურიც, ამათთან ერთად უნდა იყოს მოსული და ჭანებიცა, რომელნიც ტრაპიზონის მხრის მაკრონებში (მეგრებში) აირიენ და ეწოდათ ორთავ ჭანები, მის გამო შეერია მეგრულში თათრული სიტყვები, სითგანაც წარმომდგარია ახლანდელი ლაზური ენა!

ამათვე დაარქვეს სამცხეს მარდა, მათი მმართველი მარდას სახსოვრად. ამათ იქავე ჰქონდათ სამოსამართო, რომელსაც უწოდდნენ ხანა მარდად (ხვან ამარდა). მით მარდასაგან დაერქვათ სამცხელთ მარდები თუ მარდელები. ახალციხის ახლო-მახლო ჰქონდათ სადგომნი მათ ჯართა, რომელთაც თავიანთ ქვეყნის სოფელ-დაბების სახელები დასდევს ჩვენს სოფელ-დაბებსა, როგორც აბი, ხაკი, პამაჩი, ორალი, არალი, ჭარალი და სხ. როგორც ახალციხის მიდამოს, ისე ჯავახეთისასა, ალასტანი, ოლდანი, დევათი, მურჯი, მურჯახეთი, ერენჯა, ვარანტა, და მისთანანი! ამათ მესხები ჭანმგლეს უძახდნენ თურმე. მგლურად მტაცველ-მგლეჯელობისათვის; ერთი სახალხო ლექსი არის კიდევ ამათ სახსოვრად:

„მე ოჯორჯლელი ხუცესი
ჭალას ვიყავ მიმავალი,
ჭორატს ჭანმგლებს გარდვეყარე,
დამიბნელდა ორივ თვალი,
ზადენს ყელი გარდავუგდე, იცით
რომ სრულ არ მაქვს ბრალი;
ხელი ვჰკარ ქვას, აქ გავქვავდე,
მოვკვდი გარდვიხადე ვალი,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს? ჭორატს
ქვას აჩნია მშრალი!“

მართლა, მის მახლობელ სოფელს, ვალე დარქმევია და იმ ქვასაც, რომელზედაც ხელი დაუკრია, თითქო განგებ სისხლში ჩაწყობილი ხელიაო, ხუთივე თითები ზედ აჩნია წითლად; ეს ქვა მრავალჯერ ჩემის თვალით მინახია და მრავალნიც გაკვირვებულნი დაშთენილან იმ ქვის ნახვითა, ამისთანა ნაშთები მეტად ძვირფასია ჩვენის ტომისათვის, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ერობა უმეცრებით, მეტად ცივად უყურებს და დღიდგან-დღეზედ ივიწყებს!..

ჯაყისმანი ჯაყელების სამშობლოა. მშვენიერ ეკკლესიას ამბობენ და მრავალ ნაწერ ქვებსა; გარნა დრო არ გვქონდა იქ მისვლისა, ამას ეახლოება არალა ოსმალთ მოსაზღვრე სოფელი, სადაც დგას ხევებ შუა მაღალ კლდე-გორის თავს თავ-მოქცეული ციხე-გოდოლი! არალასთან საკირის სოფელია და მის მერმე ალი ფოცხოვისა, მეც ამ ალის ეკკლესიის სანახავად მივდიოდი, რომელიც მდებარეობს დიღვრის გამოღმით მთიან ქედ-გორებ შუა, სადაც სცხოვრებს 40-იოდე მოსახლე. აქედგან სოფლის მისავალს არის ალის მშვენიერი ეკლესია, ყოფილი ციხე-გალავნებ შუა; გარნა სამწუხაროდ, აღარც ციხე-გალავანი შეურჩენიათ ოსმალთ ფოცხოვის მმართველთა და აღარც ეკკლესიის კედელ-ყურეების ქვები შიგნით თუ გარეთ, როგორც ბალს ქერქი შეაძრო ერთიან და გააშიშვლო, ისრე გაუშიშვლებიათ, ვიდრე შუა ეკკლესიის კოკოლა გვირგვინიც კი შიგნით გარეთ ერთიან აუტყავებიათ, მშვენიერი სანათურები ყვავილიანი ჩუქურთმებით დაუშლიათ და დაუკონკიათ: მთელი შენობა თითქმის მხოლოდ შუაგულ კირის ამარას დგას, ვიდრე სვეტებიც ამ ყოფაში არიან!..

ეკკლესია საფარის ეკკლესიის პლანზედ ყოფილა ნაკეთები, მხოლოდ მომცროა ჭულების ეკკლესიის ოდენია, იმისავით სამრეკლო დასავლეთით ჰქონია, სამრეკლოს გუმბათი ერთიანი თითო მხარის უგრძესი ნაჭრელები ქვებით შეყრილია! ეს მშვენიერად ნახატი ეკკლესია ჯერ შეშით გამოუმსებინებიათ მცხოვრებთათვის და მერე მოუციათ ცეცხლი ერთიან დასაწვავად; გარნა ვერ დაუწვიათ თავიანთ ნებიერად; მთელი გვირგვინის კედლების ნახატები შეჭვარტლულია ძლიერის ცეცხლითა, სჩანს ალაგ-ალაგ ნახატები წმიდათა, ათაბეგებისა ნაწერები; მაგრამ აღარ ირჩევა ალის შემურვილებისაგან! ეკკლესიის გალავანში ყოფილა ერთი მცირე ეკკლესია ორად გაყოფილი და ორიოდეც ეკვდერები თავ-ბოლოს, რომელთ კედლის ქვებიც შეუძვრიათ ეკკლესიისავით, ზოგით სოფელში თავიანთ სალოცავი აუშენებიათ, ზოგი მთელ სოფლის სახლებში უზიდიათ; მოუხმარებიათ სიბებად, ბუხრისთვის ამყოლ კარისთვის და სახელების ცაკოლებად; რადგან ფიცრული სახლები აქვთ, უმრავლესი ნაწილი სასაფლაოს ქვებად უხმარიათ და ხიდები აუშენებიათ!

მათი სალოცავის (ჯამის) კედელში გატეხილი ხუცურად ნაწერი ქვა ვნახე, რომელზედაც სწერია: ბეშქენ და იოანე ათაბაგის შვილების სახელები; ამისთანა ერთი ნაწერი გატეხილი ქვაც ვნახე მათ სასაფლაოზედ, მგონი იმ ქვის ნატეხი უნდა იყოს, – მოვდიოდით, წაკითხვა ვეღარ მოვახერხე. ამ მონასტრის ჩრდილო-დასავლით გალავნის კართან დამდგარა აქაური მამისაგან განდევნილი ვიღაც გავლილ წლებში, ისევ ოსმალოთ დროს და სახლის საძირკველის მოთხრის დროს უპოვია ზარი და ეკკლესიის საუნჯე, ოქრომკერდის შესამოსები, ბარძიმ-ფეხშუმები მთლად ხუცურად ნაწერი და ოქროთი მოლიპული; აგრეთვე ვერცხლის ემბაზი, ტაშტები, ჯვრები და მისთანა სიმდიდრენი! ეს ჩვენებურებს შეუტყვიათ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, მათ არტანის ოქრომჭედლებისთვის მიუყიდნიათ ოხერ ფასად. მხოლოდ ზარი კი ბ. გ. აზნაურომა იყიდა ახალციხის წ.ჯვრის ეკკლესიისათვის, იმით არის შესანიშნი ეს ზარი, რომ ათაბაგების სახსოვრად შეწირულია ამ ალის ეკკლესიისათვის, როგორც თბილისის აკლების ნაშოვარი!

ვინმე მესხი,
გაზეთი „დროება“,1881 წელი, N166, 11 აგვისტო

მწიფეთავთუხიანი პოეტი

ადრე, როდესაც რეცენზიებს ვწერდი პოეტურ თუ პროზაულ კრებულებზე, თვალს ვადევნებდი, რა შეიცვალა შემოქმედებით მანერაში, რაზე წერდა უწინ, ახლა რა თემები მწიფდება მისი „მუზის ხურჯინში“. მივანიშნებდი ხოლმე, რომ გაზრდილა-მეთქი მავანი პოეტი, გაფართოებულა-მეთქი მისი შემოქმედებითი თვალსაწიერი. ახლა, შესანიშნავი მეუღლისა და დედის, ბებიის, მეცნიერისა და, უპირველესად, პოეტი-შემოქმედის ახალი კრებულის „მანდილი ქარში“ გადაკითხვისას, უცნაური აზრი დამებადა: კლარა გელაშვილი, რომელთან ახლობლობის აგერ უკვე 20 წელი მაინც მაკავშირებს, თავიდანვე იყო ლექსის მწიფეთავთუხიანი პოეტი, გააზრებულად, მაგრამ გულის სისხლით ნაკვები სტრიქონებით რომ წერდა... წერდა და წერს...

მდიდარია კლარა გელაშვილის ლექსი, მდიდარია რითმით, მხატვრული ხერხებით და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, პოეზიის მოყვარული მკითხველისათვის, სიცოცხლის დიდი სიყვარულით, სამშობლოს სიყვარულით, მამულის სიყვარულით...

ქალი ქალია, რა ასაკისაც არ უნდა იყოს, ამიტომ, ეს მარად ქალური პოეზია მანდილივით მიღელავს თავთუხისფერი ლექსის ყანაში...

„ვინ დაგტოვს დილეგში, ბევრსაც რომ ეცადო,
ლექსებით გიმტვრევენ ჩაკეტილ კარიბჭეს,
შენ რომ არ გახსენი, ვერაფრით ახსენი,
მუზათა მახვილით თვით შემოაბიჯეს!“

აქ პირადულიდან გარღვევას ცდილობს პოეტი და საზოგადო ტკივილს თავის ქალურ ხმას უერთებს ლექსით. ლექსია კლარა გელაშვილის მყუდრო ნავსაყუდელი, ლექსია შობილის მოფერება, მზის სხივებთან გათამაშება, ლექსია სიხარული და მწუხარება. ასე იბადება „გაზაფხული“, „წვეთი“, „ფიქრი“, „ჩემი საუნჯე“...ულამაზეს წვეთებად ეპკურება რვეულის ფურცელს განცდა:

„წვეთი ვარ და შენ რომ გეძინა,
უჩუმრად დავეცი მინას,
თუ გამჩენს თხოვნა არ ეძვირა –
ცოტა ხნით სიცოცხლე მინდა!“

ბევრი აქვს მიძღვნა, ბევრს ეფერება პოეტი ქალი ლექსით („აღმზრდელი“, „რამე თუ მაღალ“, „კაცი ხარ, რა იცი“, „ზღვის ცრემლები“ და სხვ.) ტკივილის სხივებში სახოვანდება აფხაზეთი:

„ცხუმს ახლა აღარას მღერიან გედები,
გადმოჰყვნენ მოქცევას ზღვისას...
ოდესმე აიხდენს იმ სიზმარს ყმაწვილი,
პაპამ რომ ანდერძად მისცა..
აფხაზეთო, ჩემო, შენო..“

პოეტი ქალისთვის მძიმეა თითქოს გულიდან ამოხეთქილი სტრიქონების „დედობა“, მაგრამ ძვირფასია ეს ტვირთიც:

„მე გუშინ სიმშვიდე მაჩუქეს,
გზადაგზა ვარიგე მერე...
მე გუშინ ლექსები მაჩუქეს,
ლექსები შენზე და ჩემზე!
მე წუხელ მუზებით დამათვრეს
რამდენი ბადაგი შევსვი!...“

21-ე საუკუნის ზღურბლზე ახალი ოცნებებით გალობს პოეტი:

„ოცდამეერთევ, ბნელა ძალიან,
მიწას მშობლიურს ჰფინე ნათელი,
ფრთხილად, მტკივან გულს ნუ დააბიჯებ,
სული ამივსე თეთრი ფანტელით...“

პროზაშიც სცადა კალამი ქალბატონმა კლარამ, აქაც პოეზიის სურნელი დაჰკრავს ფრაზას („სინათლე“, „ამაყი ეთერი“, „ვინ იცის“, „გამეტებული იები“, „შიში“ და სხვ.). დაბოლოს. კლარა გელაშვილი მესხეთის თბილი ნიავია, – „არავი“, რომელიც ქვიშხეთის „თერხვს“ დამეგობრებული ახერხებს, ამ ორი კუთხის პოეტურად დაახლოებას, მათ ღირსეულ შვილობას.

რუსთველის სამშობლოს ბევრი მგოსანი უხდება! მესხეთის შვილია კლარა გელაშვილიც... ბევრი პოეტი დაბადებულა ხაშურსა და მის რაიონშიც. კლარა გელაშვილი შესანიშნავი პოეტი ქალია, რომელიც ორივე კუთხის შვილობას ჩემობს :

„სადაურობას მკითხავდა ერთი, –
(ჯერ საქართველოს მზეს დავიფიცებ),
მახსოვს, მესხეთში ღიღილოს ვკრეფდი,
მერე ქვიშხეთში გამოვიღვიძე.„

საიუბილეო წელი ჰქონდა ჩვენს მწიფეთავთუხიან პოეტს, რომელიც საკუთარ თავთან ასე საუბრობს:

„...და შემოდგომის ამ მშვენიერ დღეს,
შენი ოთახი სხივით მოქარგეს,
ისე ზეიმობ, თითქოს ის წლები,
ახლა საჩუქრად, უკან მოგართვეს!“...

და, ვუსურვებდი, არ მოკლებოდეს მის მშვენიერ სულს საზრდო-სინათლე, ჯანს – სიმრთელე, კალამს– მელანი...

თამილა გოგოლაძე,
პროფესორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

***

ჩემო მეგობარო, ათეული წელია ერთმანეთს ვიცნობთ და შენ უფრო და უფრო მაოცებ შენი ნიჭიერებით, ქართველ ქალობით, იმ უშრეტი პოეტური თუ ადამიანური რესურსით, რომელიც ასე უხვად გამოიმეტა შენთვის დედა-ბუნებამ. მესხეთში დაბადებულო, ძველი საქართველოს დიდება, სიამაყე და მადლი რომ გადმოგყვა ქართლის მშვენება – ქვიშხეთში და აქ აგამღერა შენი გამორჩეული პოეტური ხმით....შენი პოეზია ქალური მზე და სინათლეა, სიყვარულის გზა და ხიდია... მიიღე ჩემგან ეს ლექსი, ნიშნად დიდი პატივისცემისა შენდამი...

მინდვრის ღიღილო

თმას დაგიწნავენ მოლაღურები,
ატოტილს ცისკენ ქალური კდემით,
მთვარე საღამოს პირბადეს აქსოვს
და პოეზიას შენივე ნებით.
უხილავს იქით, ქარი სტრიქონებს,
წაიღებს ცისკენ ფერთა ნათებას
და ეს სინათლე ააშრიალებს,
შენი ლექსების ანდამატებას.
სექტემბრის ქარი ჩამოჰკრავს სიმებს,
შენს ფანჯარასთან სიმღერად მოვა,
მერე სიზმრებად ჩამოარიგებს
ამ მელოდიას, სიჩუმის სევდას...
სად უდარდელმა შენმა ბავშობამ,
ფრთები შეგაბა და აგაფრინა,
მოულოდნელად, შენგან ფარულად,
სულ სხვა ნაპირთან გაგინაპირა...
ისე ახლოა შენი სიშორე,
როგორც ერთი დრო, მინდვრის ღიღილოვ,
მესხეთი მთებით გადმოირბინე,
აქ, შენს ქვიშხეთში რომ იღიღინო...

შოთა დარბუაშვილი

ახალი გამოცემები

ვიქტორ ჰოვსეფიანი



კარგახანია ჩვენი კარის მეზობელი სომეხი პოეტების და მწერლების შესახებ არაფერი დამიწერია. მათი ახალი მხატვრული ქმნილებები არ შემიფასებია და გამოვხმაურებივარ. ამას კი აქვს თავისი მიზეზი. ეს მიზეზი გახლავთ ის, რომ ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში ერევანში იმძლავრა საქართველოსადმი ნეგატიურად განწყობილმა მეცნიერთა ჯგუფმა, ვერ ვიტყვი, ისინი აკადემიური მეცნიერების და საზოგადოების პოზიციას, აზრს გამოხატავდნენ, მაგრამ ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს გარკვეულწილად აზიანებენ და ბზარს უჩენენ. ერთი სიტყვით, რაც შეუძლიათ წყალს ამღვრევენ. ამის გამო იძულებული გავხდი პასუხი გამეცა ამ ე.წ. მეცნიერებისთვის, რომელთა ნაშრომებში საქართველოს ისტორია, წარსული, არქიტექტურა, მწერლობა და კულტურა მრუდე სარკეშია წარმოდგენილი და ტენდენციურობის უიშვიათეს ნიმუშებს წარმოადგენენ. ამის გამო ყურადღების მიღმა დამრჩა სომეხი პოეტებისა და მწერლების მიერ ამ პერიოდში გამოქვეყნებული მხატვრული ქმნილებები. ამ ხარვეზის გამოსწორება და აღმოფხვრა დავიწყე ცნობილი პოეტის ვიქტორ ჰოვსეპიანის მიერ ახლახან გამოქვეყნებული საბავშვო ლექსების კრებულის „ბებო, ბებო, ცეცხლი მომე“ მიმოხილვით. კრებული შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველში შესულია პოეტის საბავშვო ლექსები, მეორეში კი ხაზო ბებოს მიერ ნაამბობი ზღაპრები. ეს ზღაპრები გადამუშავებულია და აყვანილია მაღალ მხატვრულ დონეზე. მასში მკაფიოდ ჩანს ის დიდებული გრძნობა, რაც ყოველ ადამიანს განცდილი აქვს ბუხრის წინ მოყოლილი ბებიას ზღაპარი. ხაზო ბებიას სახე მაგონებს ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებიას. ეს არც არის გასაკვირი. ყველა ერის ბებია ერთმანეთს ჰგავს. ყველა ერთნაირად მოსიყვარულეა და განუმეორებელი.

ვიქტორ ჰოვსეფიანი დაიბადა 1947 წელს საქართველოს უძველეს მიწაზე – ჯავახეთში, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ჰეშტიაში. პოეტის პაპა მამის მხრივ, ძირძველი ყარსელი იყო. 1830-იან წლებში გენერალმა პასკევიჩმა ყარსის, ერზრუმის ვილაიეთის სომხური მოსახლეობა გადმოასახლა ჯავახეთსა და წალკაში. ამ დროს გადმოსახლდნენ პოეტის წინაპრები ჯავახეთში და დამკვიდრდნენ სოფელ ჰეშტიაში. დედა მარიამ გრაზოვსკაია იყო პირველი მსოფლიო ომის დროს ჯავახეთში ჩარჩენილი პოლონელი ოფიცრის შთამომავალი.

პოეტს საშუალო განათლება მიღებული მშობლიური სოფლის სკოლაში. შემდეგ სწავლა გაუგრძელებია ვანაძორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური განყოფილების ხაზით.

ვიქტორ ჰოვსეფიანი ადრიდანვე დაინტერესებული ყოფილა ევროპული განათლებით. მას სრულყოფილად შეუსწავლია გერმანული ენა. 1965-1966 წლებში მუშაობდა მშობლიური სოფლის სკოლაში და ასწავლიდა სომხურ ენასა და ლიტერატურას, აგრეთვე იყო გერმანული ენის პედაგოგი.

ვიქტორ ჰოვსეფიანმა ფართოდ და ღრმად შეისწავლა სომხური კლასიკური პოეზია დაწყებული გოღთანის გუსანების პოეზიიდან დამთავრებული გრიგოლ ნარეკაცისა და ჰოვანეს შირაზის პოეზიამდე.

ვიქტორ ჰოვსეფიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშობლიურ მწერლებთან ერთად სერიოზულად შეისწავლა ფროიდის, ნიცშეს, სარტრის, კარიუს კირკეგორის და სხვათა ფილოსოფია. – „ისინი მუდამ ჩემთან არიანო“, – წერდა პოეტი.

ვიქტორ ჰოვსეფიანის პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1965 წელს გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანში“ („საბჭოთა საქართველო“).

1991 წელს მიღებული იქნა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

მას საკმაოდ მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა დარჩა. გამოცემული ჰქონდა ლექსების 15 კრებული. ვიქტორ ჰოვსეპიანის ლექსები თარგმნილია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და უზბეკურ ენებზე; სომხურ ენაზე თარგმნა ტერენტი გრანელი, რუსულიდან – ინიკენტ ანენსკი, გერმანულიდან – რილკე და სხვ. პოეტს მდიდარი არქივი დარჩა. მისი რაოდენობა დაახლოებით ათ ტომს მოიცავს. ესენია – შრომები, ესსეები გრიგოლ ნარეკაცის, მისაკ მეწარგნელის შემოქმედების შესახებ. აგრეთვე ვრცელი გამოკვლევა სომხურ ეპოსზე – „დავით სუსანზე“. მის არქივში დაცულია წერილები – ჰოვანეს შირაზის, ვაჰაგან კარენცის, მარტინ ასლანინის, მარტინ ქარამიანის, ბენიკ სეირანიანის და ანაჰიტ საჰინიანის შემოქმედების შესახებ.

ვიქტორ ჰოვსეფიანი საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა. სამწუხაროდ, არ დასცალდა მთელი თავისი პოეტური ტალანტი ბოლომდე დაეხარჯა. დარწმუნებული ვარ – კიდევ არაერთ ბრწყინვალე პოეტურ ქმნილებას შესძენდა მშობლიურ კლასიკურ პოეზიას.

ვიქტორ ჰოვსეფიანი აღესრულა 1991 წლის 17 სექტემბერს. მას დარჩა დიდებული ოჯახი: მეუღლე – ექიმი ტერეზა ჰოვსეფიანი, შვილები – საჰაკ, ესმერანდა, გისანე და ნენე.

მეუღლე – ქალბატონი ტერეზა და შვილები სათუთად უვლიან და უფრთხილდებიან ვიქტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობას – დაბეჭდეს მისი გამოუქვეყნებელი ლექსების რამდენიმე კრებული, სოფელ ჰეშტიაში გახსნილია ვიქტორ ჰოვსეფიანის სახლ-მუზეუმი.

განსაკუთრებით მსურს აღვნიშნო ვიქტორის ქალიშვილის გისანე ჰოვსეფიანის შესახებ. ეს მშვენიერი, ენერგიული ბანოვანი, უნარიანად უძღვება ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმს თბილისში. იგი კარგად უთავსებს სამსახურებრივ საქმიანობას საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან.

ოვანეს თუმანიანის სახლ-მუზეუმი გისანეს წყალობით ქცეულია ქართვ ელი და სომეხი ხალხის მეგობრობის კერად.

ბონდო არველაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, არმენოლოგი



ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარს ზეზვა მედულაშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა. ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს მოვლილი ჰქონდა თითქმის მთელი სამცხე-ჯავახეთი და განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მესხური აშუღური პოეზიით. მას ქართველი ლიტერატურული საზოგადოება ასევე იცნობდა, როგორც აღმოსავლური პოეზიის უბადლო მკვლევარს.

ბატონი ზეზვა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ლიტერატურული კონკურსის პირველი პრემიის ლაურიატიც იყო და მისი თითოეული სტუმრობა „შოთაობის სახალხო დღესასწაულზე“ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა დამსწრე საზოგადოებაზე.

ქვემოთ გთავაზობთ ცნობილი მეცნიერისა და მწერლის, ბატონ ზეზვა მედულაშვილის დიდი მეგობრის, ნომადი ბართაიას მოგონებას, რომელიც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს ბატონ ზეზვას პიროვნებას.

ზეზვა მედულაშვილი - 80

რამდენი წინდახედულობა გვმართებს

ჩვენი ზეზვა მედულაშვილი

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. დღიურებში სადღაც კი მიწერია ზუსტი თარიღი, მაგრამ არა მგონია ახლა იგი ქექვად ღირდეს.

თბილისის ნ. ბარათაშვილის სახელობის მტკვრის ორსართულიანი ხიდის დარბაზში აღმოსავლური პოეზიის საღამო იმართება. საღამო მიჰყავს ყველასათვის საყვარელ ვახუშტი კოტეტიშვილს. ვაი, რომ ახლა იგი ჩვენ შორის აღარ არის.

ის რომ აღმოსავლური პოეზიის საღამო მიჰყავს ვახუშტი კოტეტიშვილს, ეს ერთ აღმოსავლურ თუ დასავლურ პოეზიის საღამოდ, დილად თუ შუადღედ ღირს. ფეიერვერკებად იფრქვევა წამყვანი. დარბაზში ზეიმია, მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებიან აღმოსავლური პოეზიის ცნობილი თუ უცნობი მთარგმნელები, ვინმე რომ არ გამომრჩეს, მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ.

გამოვიდა ერთი, გამოვიდა მეორე, გამოვიდა მესამე, მეოთხე და აი, ჯერი მიდგა ზეზვა მედულაშვილზე.

– ხალხნო, – დაიწყო ვახუშტიმ თავისი ყველასათვის საყვარელი ხრინწიანი ხმით – ახლა თქვენს წინაშე გამოვა ცნობილი მთარგმნელი, ჩვენი წინაპრის საიათნოვა, პოლიგლოტი ზეზვა მედულაშვილი, რომელმაც ბრნყინვალედ იცის სომხური და აზერბაიჯანული, ფლობს სპარსულ, არაბულ, უზბეკურ, ყირგიზულ, ჩუვაშურ, ჩუჩმეკურ, ბალყარულ, აფხაზურ, ქურთულ, ბერძნულ, ინგუშურ, მოლდავურ, რუმინულ, ყარაკარპაკულ, ოსურ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ინდურ, ჩინურ, ჩრდილოკორეულ, ესტონურ, სამხრეთვიეტნამურ, ბენგალურ, ლიტვურ, ლატვიურ, ჰოლანდიურ ენებს. მკვდარი ენებიდან თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობს – შუმერულად, აქადურად, ელამურად, ბაბილონურად, ფალაურად, სოღდურად, პართულად – გაშალა ლაღად ფრთები საღამოს წამყვანის ფანტაზიამ. მერე ბოდიშიც კი მოუხადა ზეზვას, რომელიმე ენა ხომ არ გამომრჩაო და დარბაზს მიმართა – მაშ ასე, მივესალმოთ ჩვენს ზეზვას!...

დარბაზში იხუვლა ტაშმა, რომლის გრიალსა და შეძახილების ფონზე, ისე, რომ ხან რას მიებლანდ-მოებლანდა, მიკროფონთან მივიდა ზეზვა.

დაილოცოს ვახუშტი კოტეტიშვილის სახელი, რა კარგად წარუდგინა გამომსვლელი აუდიტორიას, რომელმაც თითქმის ყველა იმ ენაზე თქვა რაღაც, მკვდარი იქნებოდა ის თუ ცოცხალი, რომელიც კი ჩამოთვალა მან.

დამთავრდა საღამო. გაბრუებულნი გამოვდივართ დარბაზიდან. აღფრთოვანებას ვერ ვმალავთ. ეს რა კარგი საღამო იყო, ეს რა ზეიმი იყო!...

საღამოს გმირი, თუ ზეზვა არა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო. ყველა ცდილობდა მასთან მიახლოებას და მის მიმართ აღფრთოვანების გამოხატვას. ამ მხრივ ზოგს გაუღიმა ბედმა, ზოგს არა, რას იზამ ასეთია ცხოვრება. ბედმა მთლად არც მე გამწირა და მომცა საშუალება, გასასვლელთან, აღმოვჩენილიყავი საღამოს გმირთან ახლოს, როცა მან, ცოტა არ იყოს, წყენაშეპარულად ჩაულაპარაკა თანამოსაუბრეს – `იქა ვახუშტიმ ენები რომ ჩამოთვლა, გერმანული არ უთქვამს. განა მე გერმანული არ ვიცი, ლაპარაკი ისე არ შემიძლია, თორემ, დაწერილს ჩვეულებრივ ვკითხულობ და ვიგებ~-ო.

თურმე, იმ დალოცვილ ვახუშტი კოტეტიშვილს, მაინცდამაინც გერმანული გამორჩენოდა, ანუ ის ენა, რომელიც ზეზვას სკოლასა და უნივერსიტეტში ესწავლა...

`განა მე გერმანული არ ვიციო..!~ – ახლაც ჩამესმის გულისტკივილით ნათქვამი ზეზვას სიტყვები.

მართლაც, განა ზეზვამ გერმანული არ იცის...

რამდენი წინდახედულობა მართებს ადამიანს, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!..

გულმა თითქოს წინასწარ რეჩხი უყოო, ვახუშტიმ წინასწარ ბიდიშიც კი მოუხადა გამომსვლელს – რომელიმე ენა ხომ არ გამომრჩაო.

როგორც მერე გავიგე, ვახუშტიმდეც მისულა ეს ამბავი და ისიც თურმე სიცოცხლის ბოლო წუთამდე განიცდიდა იმას, რომ ზედმეტად ენდო მეხსიერებას...

ნომადი ბართაია,
ირანისტი, პროფესორი

ფოლკლორი

***

ეს ქვეყანა, ნათქვამია,
ტკბილი ქვეყანაა,
ადამიანი ბალახივითაა,
აბა სხვა რაა,
ვათანი იქით არი,
ეს იალაღია,
მოწამე არი,
სახარება და ყურანი.

ამ ქვეყნის სათავეები
არავინ არ იცის,
ყველა აქედან მიდის,
იქიდან მომსვლელი არ არის.

ღმერთის წესია,
არაფერი არ გაცრუვდება,
ზამთარში მთებზე არასოდეს
ცხოვრება არ შეიძლება.

ღმერთო, ნუ დამიზიანებ
ჩემს ცხოვრებასა და სიცოცხლეს.
სანდრო იტყვის, მიკვირს
ქვეყნის საქმეზე.
მომკვდომი მოკვდება,
დამრჩომი ცეკვაში გაატარებს.

***

შვიდკეცი საძირკველი,
ღვთის წყალობით,
ანგარიშით გვაქვს მოცემული
სამოთხის დრო.
ერთ დღეს ჩემს საფლავზე ბუ დაიძახებს,
დამუნჯდები და ბულბულის ენა
გაგიქვავდება.

*

დილით მზე დედისგან იბადება,
ღმერთი, ცა და დედამიწა შენგნით
კანკალებს.

სანდრო ამბობს, ეს გამოვთქვი ჩემგან,
ერთი დღე ცრემლი არ შემშრობია,
ბაღები აყვავდებიან,
ერთ დღეს ჩვენი ხორცი გვამს გაეცლება,
ბეწვის ხიდი ძნელად გასავლელია,
მოგვიმართოს ღმერთმა ხელი
ამ ხიდზე გასავლელად.

***

ძვირფასო და საიმედო,
სულზე ტკბილო საყვარულო,
შენს ხსენებას ვენაცვალე,
ჩემო სულის უკუმყრელო.
პირველად გიძღვნი მოკითხვას,
გენაცვალოს შენი სანდრო.
მე შენს სახელს ვენაცვალე
და სიცოცხლე შემოგევლოს.
მაშვალებმა გვიღალატა,
ოლუმპიჯან, გენაცვალე,
და ამ წერილს მისთვისა გწერ,
სულ რომ რაცა დამავალე.
არსაიდან აღარ დასძრა,
გააჩერა სისწორემა,
კვლავ მეხვეწა ევატანე {!}.
ვეღარ მომითმინა გულმა,
მანდეთ შენ ცრემლობ, აქეთ მე,
გარშემო ცეცხლი გვინთია,
ეს ოთხი წელიწადია,
შენ ოლუმპიჯან ლამაზო,
ჩვენ ერთად შეყრა გვწადია.

დასტანი

აფნიელმა სიმონამ თქვა:
დავიწვი-დავიდაგე,
მთელი ქონება ხელიდან გამომაცალეს,
ერთ წივაში ორ ქალს ვკოცნიდი,
ახლა ის დღეები სულ თვალწინ დამიდგა.

მე არ ჩავარდნილვარ
ამ გაუგონარ შემთხვევაში,
ამ მამაძაღლ სოფლელებმა
ჩამაგდეს მე ტანჯვაში.
მოულოდნელად მე გამხვიეს შარში,
ეს მამაძაღლი კომკავშირლებიც
ჩემს ჯავრიდან ამოვიდნენ.
მოგროვდნენ და არ მკითხეს, რა ბრალი მქონდა,
ხელით თითოთითოდ მაგლეჯეს თმები.

სანდრო ზედგინიძე
ბნკარედული თარგმანი

***

ერთ ვირზე ამიკიდეს სარჩო,
გოგაშნის გზიდან გამომამგზავრეს,
ჩამოველ დანკლის ხევში,
ამბავი შეუთვალე შავ არჩილას,
საბჭოს თავმჯდომარეს მარიას,
რისთვის გადმომაგდეს ამ ქვა-ღრეში.
ჩავედი მარგასტანის ვაკეზე,
თრევა-თრევით ჩავედი ხერთვისში,
მე მიმამგვანეს მათხოვარს და ქურდს,
მე იქ სახლში სტუმრად არავინ მიმიღო.
ნელ-ნელა წავედი ერთ ჩაიხანაში,
ზოგი დედას მაგინებს, ზოგი მამას,
ზოგი ვირის მუმტრად გამოვიდა,
ზოგმა კიდევ ლოგინი მომპარა.
დილით ავდექ, შევუდექი
ნერაკუნტის აღმართს,
აველი საროში, ლეწვა მტვრევით
ბევრი ვიჩივლე კოჭლ ღვდელთან,
დიაკვნებმა რომ გაიგეს
დაიწყეს ტირილი და დაიდაგნენ.
ღვდლის რჩევით საროში დიდხანს დავრჩი,
ეს ოხერი ჯორიც ძალიან დამიწუხდა,
ლოგინი დავკარგე და ფქვილიც დამაკლდა.
ვიფიქრე, რომ წავიდე ტოლოშშიო.
ტოლოშში ჩაველ, საქმე
უკუღმა შემოტრიალდა.
ერთი ტომარა მქონდა,
ისიც ღამის გასათევად ქირაში წამართვეს.
მე რომ ამ ლექის ღირსი გავხდი
რას იტყვით ხალხო, წავიდე საქართველოში?
მითხრეს, რომ გირჩევნია აქ დარჩე, თორემ,
ის კულაკები შენზე უარეს დღეში არიანო.

ლექსი დაწერილია აფნიის მცხოვრებ სიმონ მოსიეზე, რომელიც განაკულაკეს 1930 წელს
ჩაგვაწერინა **ი. ლომსაძემ**

გოკიას შუბუნაშვილსა

(ჩაწერილია სოფ. კოთელიაში)

1
გოკიას შუბუნაშვილსა
ქორნილი ჰქონდა დიდია,
თემ-ქვეყანა შეეყარა,
არვისგან ჰქონდა რიდია.

ლეკებმა დრო შეურჩიეს,
წინ უძღვა მცოდნე ფლიდია.
შუა ღამეს თავს დაესხნენ,
ხელთ შერჩათ გზა და ხიდია.

2
გოკიას ცეცხლი ეკიდვის,
შიგ მოიხალა ქერია,
დახოცეს ვაჟიკაცები,
ცხვარულად დასჭრეს ყელია,
ქალ-რძალი ყმებად წაასხეს,
სულ გულით სანატრელია.

წაასხეს ტირილ-ზრიალით
ფაშისგან გაყიდულნია,
მუხლეყრებოდათ, კვდებოდნენ,
ფერ მკრთალ თავ-დაკიდულია,
ზურნაჯის ქალიც მიჰყავდათ,
შვენიერ საქებარია,
ვერ გაძღა სიყვარულითა
საწყალი, უბედურია.

„ანყურის ციხე“[1]

თურქული ხალხური ლექსი
(ბნკარედი)

ანყურის ციხე დაუნგრეველი კლდეა,
უმაღლეს სარკმლებიდან ძირს
ვერც კი ჩამოიხედები.
ერთი ჩემი სიკვდილით ქვეყანა არ დაიქცევა,
სურმის მაგივრად მტვერი გამეტანა ნეტავ.
ფანჯრები მთების პირდაპირაა (სიმაღლეზეა),
გამვლელ-გამომვლელი რომ ესვრის ქვას,
ეჰეი, ნუ ისვრით ამ ქვას, მე დაჭრილი ვარ,
და მე დედმამის ერთი ვარ...
მთები მწვანედ შეიმოსნენ და მე შავად.

***

დადგება მარტი, აპრილი,[2]
აქ აღარავინ დადგება,
რუს მოვა ახალციხეში,
სისხლის ღვარები ადგება.

*

იენიჩარი ამბობდა:
ტურფად ვიქნევდი ხმალსაო,
ლეკების ჯარი ამბობდა:
ტყვია არ გვცვივა ძირსაო;
თარაქამები იძახდნენ:
წყალსავით ვსვამდით სისხლსაო.

*

ქურთებიც ამას ამბობდნენ:
მუზრახს უყრიდით ძვალშია,
რუსებს სჭრეს თავი, აგროვეს,
მერე ჩაჰყარეს ქვაბშია,
ადგნენ და სტამბოლს გაგზავნეს
დიდი ყაენის კარშია.

***

წინ ბრძოლად მესხნი ქებულან[3]
შეუპოვარი ლომნია,
და მათ ზურგს მხარნი ქართველნი,
ფეხ მოუცვლელად მდგომნია.

*

მარჯვნივ იმერლებს შეჰშვენით
ვეფხვებრ მსწრაფს მიჯრით მხტომნია
და მარცხნივ ნახეთ კახელნი,
რომელი რომელთ მჯობნია.

***

ქართლში გაჩნდა ყაჩაღათა
მოწიფული არსენაი,
მდიდართ აკლო, გლახთ აჭამა,
არავინა არცხვინაო.

*

ასრე უნდა ვაჟიკაცი,
არც ჭკვა აკლდეს, არც ენაო,
ივლიტელ ანტონ, ბეჟანმან
ყველაფერში ახსენაო.4

ყივჩაღის ლექსი

(მესხური ვარიანტი)

ვაი თუ ჩავყვე და ჩავარდე,
ორმოსა ბნელეთისასა,
ვაი თუ მახესა გავება,
მოქსოვილს კანაფისასა.

თავდაღმა გზასა დაუყევ,
ნავალსა ირმებისასა.
ჩავინადირე, მივაგენ
გასავალს ვიწრო გზისასა.

იქ დამხვდა მჭამელ-ყივჩაღი,
მწოლარე ძირსა ხისასა,
ჩიოდა თავის შიმშილსა,
ხან კვირის ხან კი თვისასა.

პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი,
ნამცხვარსა თავთუხისასა,
ხორცსა მთხოვდა და ვაწვდიდი,
მწვადებსა გნოლ-კაკბისასა.

ღვინოსაც მალ-მალ ვასმევდი,
რჩეულსა ბადაგისასა,
ცოლი მთხოვა და არ მივეც,
ჩემი ვარჩიე სხვისასა.

გარდმოყო ხელი, დასტაცა
ნაწნავსა გიშრის თმისასა,
სატევარს ხელი გავიკარ,
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა,

ღმერთი ვახსენე, გარდავკარ,
ნვერმან უნია ქვიშასა,
ერთი ასეთი გადმამცხო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.

თავს ის მოკვდა და ბოლოს მე,
ჭალასა ცანცარისასა,5
ყველას სჯობს, ვიხსენ ქვეყანა,
სულ ნუ ახსენებთ მიხასა.

სლმ: 018091 / 22300-სსლმ: 018090 – N22299-K). **შოთა ლომსაძის** პირადი ფონდი, ბნკარედული თარგმანი მისივე

1 ეს ლექსი გაგონილი და ჩაწერილია 1896 წელს ასათიანის მიერ ახალციხის მაზრის სოფ.ქვემო ოშორაში ინჯო ხიჯიშვილისაგან.

2 ჩაწერილია სოფ. ხიზაბავრაში ვ. ბალიაშვილისაგან.

3 სოფ/ ხიზაბავრაში ჩაწერილი ეს სიმღერა საინტერესოა, რადგან ყველა სხვა მსგავსი ვარიანტებისგან განსხვავდება. აქვე აღსანიშნავია თავისებური თქმები: „ზურგს მხარნი ქართველნი„ და სხვ.

4 ეს ლექსი ჩაწერილია ს.ვალეში

5 ცანცარი - ნასოფლარია სოფ. ვალის მახლობლად

***

ერთი მდიდარი კაცი მიდიოდა გზაში. შეხვდა ერთ მოხუცს, რომელსაც ჯვარედინ გზაზე მიწა დაეგროვებინა სამ ადგილს. ამ მგზავრმა ჰკითხა მოხუცს – ეს რა არის, ამ მიწას რატომ ემსახურებიო? მოხუცმა უთხრა: ეს მიწების გორა ვესიათებია: პირველი გორა ერთი ოქრო ღირს, მეორე – ორი ოქრო და მესამე – სამი ოქრო.

მისულმა მგზავრმა გადაიხადა ერთი ოქრო. მოხუცმა დაიწყო პირველი ვესიათი: არის კაცი, რომელიც საკუთარ ძმას დასტოვს და სხვას დაიძმობილებსო.

ამ მდიდარ კაცმა ეს ვესიათი თავის თავზე მიიღო, – მე საკუთარი ძმა დამიგდია და სხვას დავძმობილებივარო.

მეორე ვესიათი რაღას ნიშნავსო?

მოხუცმა უთხრა: ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი კაცი თავის ნათესავს – ნათლიას მიატოვებს და სხვას დაუწყებს ძებნასაო.

მესამე ვესიათზე ასე სთქვა მოხუცმა: ცხენი არ უნდა ათხოვო ისეთ კაცს, რომლის ზნე-ჩვეულებას არ იცნობო.

წამალი

გვილაჰმადას ცოლ-შვილში ხველა ჩავარდება. გვილაჰმადაი წავა ახალციხეს, რომ წამალი მოიტანოს, მაგრამ დაავიწყდება.

სატალაოს ხევებში რომ ამოვა, მოაგონდება მაშინ. იქვე, ღელეში მივა და წყალს აავსებს, წითელ ფოტორო მიწას ჩაჰყრის, აამღვრევს და მიუტანს ცოლ-შვილს და ეტყვის: ექიმმა სთქვა, კარგათ უნდა ჭამოთო. ეს ცოლ-შვილი რაკი კარგ კვებას მიიღებს, მალე გამოჯანმრთელდება. ეს ხველა სოფელშიც მოდებული იქნება, ეს მეზობლები მისცვივიან, გვილაჰმადას და ეტყვიან, ეგ წამალი ჩვენც გვასწავლეო. რაღა გასწავლოთ, თქვენ ვერ დაამზადებთო. აგერ მე მაქვს ნაყიდი, თითო ჭიქას მოგცემთ, თითო კვერცხათაო.

ასე გაყიდა მიწით ამღვრეული წყალი გვილაჰმადამ.

ჩაწერილია სოფელ ზველის მცხოვრებ ონისიმე თევდორეს ძე ზედგინიძისაგან. გადმოსცა სოფელ ზველის მცხოვრებმა თამინდარ ქამილ-ოღლიმ.

ასპინძის ომზედ თქმულება

შენ ერეკლეო, მხარ-ბეჭ უნაგრიანო,
შენი ნახოცი ლეკები ასპინძის
ბოლოს ჰყრიანო,
ეხვევა ყვავი-ყორანი კაჭკაჭნი
თვალებს თხრიანო.

ასპინძაში რომ უომია მეფე ერეკლეს და ლეკები წყალში რომ ჩაუყრია, იმ ხიდის ბურჯი დღესაც ეტყობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, რავდენჯერაც გამივლია და, ანუ, ჩამივლია იმ ბურჯთან, ყოველთვის მომგონებია ერეკლეს ომი, თითქოს იმისი ძახილი ყურთა მსმენია, თითქოს ამ წუთში ხდება ომი. და როცა დაუკვირდები, მაშინ ვიტყვი ჩემ თავათ, რომ ახლა კი არ ხდება ომი, ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნეში.

მეფე ერეკლეზედ კიდევ ბევრი თქმულებაა, რომ მეფე ერეკლეს ომი რომ ჰქონია, მაშინ უფროსი შვილიო, ტამალაში დამალვია ბორჩალოს თარაქმებით, რომლებიც ომში ჰყოლიათ მეომრებათო. შვილს უფიქრია, მე მამაჩემ არ მივეშველები და როცა მამაჩემ დაამარცხებენ, ტამალიდგან მე მაშინ თარაქამათა ჯარს წამოვიყვან, ამით ლეკებს შევაშინებ, გავიმარჯვებ და საბოლოოთ სახელი მე დამრჩებაო. ასე იტყოდა ჩემი პაპა ვასილი პავლეს ძე ჯვარიძე.

***

ერთხელ შევეკითხე პაპაჩემს: პაპა, ძველი რაიმე ამბავი გეცოდინება და მითხარიმეთქი. მან მითხრა: შვილო, ეხლა რუსთავია, იცი, ჩვენი ამაღლების სერიდგან რომ სჩანს. მანდ უწინ ქალაქი ყოფილა, რომელსაც მაგარი ციხე ჰქონია გარს შემორტყმული. რომელიც ეხლა ციხე აღარ არის, მხოლოთ რუსთავ გამოსწვრივ, წყალთბილის ქვეშ, ერთ გორაზე, ფოშტის გზის ზევიდგან, დარჩენილია ერთი კოშკის კედელი და მაგ ქალაქში ყოფილა ერთი პოეტიო, რომელსაცაო შოთა რქმევიაო სახელად. ისაო, ისრეთი ჭკვიანი კაცი ყოფილა, რომ ქაჯის ენა სცოდნიაო. მე წერა-კითხვა არ ვიცოდიო, მხოლოდ ძველები ესრედ იტყოდნენ, რომ დიდი ნასწავლი კაცი ყოფილაო, რომ მას დაუწერია ერთი წიგნიო, რომელსაც ვეფხის ტყაოსანი

რქმევია. ეს წიგნი შოთას თამარ მეფისთვის გადაუცია. მემრე თამარ მეფეს ძალიან დაუსაჩუქრებია პოეტი. ესე რომ სთქვა, საუბარი შეწყვიტა. კვლავ შევეკითხე, სთქვი, კიდევ სხვა რამე, შენ რა ნახე, შენ სიცოცხლეში-მეთქი. მან ესრეთ მითხრა, ახალციხე რომ აიღო რუსმა, მე მაშინ ცხრამეტი წლისა ვიყავი, თათრებმა ისრე გაგვცარცვეს, რომ თითზედ გადასახვევი აღარაფერი დაგვრჩა, სულ თივებში ვიწექით. ძროხა სულ წაგვართვეს და ცხვარი საროში შევაფარეთ, მემრე ამბავი დაჰყარეს, რომ საროს უნდა დაჰკრან, იქიდგან ცხვარი წამოვასხით, რომ ასპინძაში ჩვენ მეგობრებთან სუბანიენთან უნდა შეგვეფარებინა თავი. ამ დროს მცარცვავი თათრის შაიკა ხულიშაში წინ გადვიდგა და ცხვარიც იქ წაგვართვეს ორასი სული, მაგრამ ხალხს არ ხოცავდნენ. მემრე ჭობარეთში გადმოვედით, სადაც შვიდი კომლი გავხდით და გავაშენეთ ესე ვერანა.

პეტრე სუდაძის გადმოცემა

ერთ მეზურნეს ჰყვარებია ბატონის ქალიშვილი, მეზურნემ იცოდა, რომ ბატონი მას გოგოს არ მისცემდა, ამიტომაც მოიტაცა, მივიდნენ დიდი აღმართის ძირას. გოგომ უთხრა ბიჭს, თუ ზურგზე ამიკიდებ და ზურნის დაკვრით ამიყვან ამ აღმართზე, წამოგყვები ცოლადო. ბიჭი დასთანხმდა, მოიკიდა გოგო ზურგზე და ზურნის დაკვრით შეუდგა აღმართს. თავზე რომ ავიდა, გონება მიხდილი ბიჭი ძირს დაეცა. გოგომ ბიჭის თავი ჩაიდო კალთაში. ბიჭმა, თურმე, ამოიოხრა, – ვაიმე დედა, სულთმეწიაო და განუტევა სული. გოგომ ვერ გაუძლო საქმროს უდროვო დაკარგვას, დაიკრა ბიჭის ნაჩუქარი დანა და მოიკლა თავი. მათი საფლავი იქვე აღმართის თავზეა, ნატუსიენთ ყანაში.

მთქმელი ზურაბ სუდაძე

***

ოცი-ოცდაათი წლის წინეთ. ამ ნასაღდრალიდან ნიაღვარს ერთი გაკუთხული ქვა წაეღო, ჩაეტანა აბანოებზე. დადიენთ დემეს ცოლს თებრუნას იმ ქვაზე სარეცხი დაერეცხა. სარეცხს რომ მორჩენილიყო და წამოსულიყო, შუაგზაში ლოდებში დაისვენებს. ქალი რომ უნდა წამოდგეს ზეზე, ვეღარ ადგება, დაიგრიხება. დიდის წვალებით ძლივს ავა სახლში. იმ ღამეს სიზმარში ანგელოზები ეტყვიან, ხვალ ის ქვა აიკიდე და აიტანე ნასაღდრალზე, თორემ აგრე დაგრეხილი დარჩებიო. მეორე დღეს, თებრონე, როგორცაა, ჩავა აბანოებზე. მოიკიდებს იმხელა ქვას. იმ ქვის აწევა თითქმის ვაჟკაცს გაუჭირდება, მაგრამ ღმერთი დიდია, იმ დროს კაც მუხლებში ძალას აძლევს. თებრუნამ ის ქვა აიტანა ნასაღდრალთან, იქ დასტია, სანთლები დაანთო, ილოცა და ქალი იქიდან საღსალამათი ჩამოვიდა. აი თუ არ არის ღმერთი.

მთქმელი მიხეილ სუდაძე

***

როდესაც ასპინძის ომი უნდა დაწყებულიყო, ამ დროს თათრობა ამონდა: ეს შიდა ქართველი გავწყვიტოთ, თორემ თავიანთ ხელმწიფისკენ გადავლენო. ამ შიშით ჩვენ სოფელ მუსხის მთელი მცხოვრებნი გავიხიზნეთ ტობის კლდიებშიო.

სოფელში დარჩა ოქრომელიძე იესაი, თათრულ ტანისამოსით, მაგრამ მაინც იცნეს, რომ ის ქართველი იყო. მას რომ ძალა დაატანეს, მანაც შიშით უჩვენა მთელ სოფლის შენახულობაო.

ჩვენ როცა კლდეში ვიმალებოდით, ამ დროს ერთ-ერთი თათარი დაგვზვერავს. ანდრიაწმინდელი თომა ტაბატაძე მოჰყვა, – ჩვენთან თომამ რომ ეს კაცი დაინახა, მოინდომა ამ კაცის მოკვლა, რათა ანბავი არ წაეღო, მაგრამ ხალხმა არ გაუშვა, ვინაიდან თოფის ხმაზე მოგვაგნობენო. ეს მზვერავი დაბრუნდა უკან, შეადგინა ჩათა, დაეცა დამალულ ხალხს და მთლათ გაცარცვეს. აქედან დადეშლიენთ, ანუ ივანიძე ივანემ, მარკოზამ, ნიკომ, თავი შეაფარეს რუსთავ, ზანდარიენი ოშორას ნასულან, თოფლიენი, ანუ მაისურაძეები წასულან მუსხს და ვირით ჩუმათ ვაშლს წაიღებსო, იქაც რო შეუწუხებიათ თათრებს, იქიდანაც წასულან ბალანთას, ჯავახეთში. გაზაფხულამდის დარჩენილან და ზაფხულში ჩამოსულან სოფელში.

ამ ამბავზე წინ პაპაჩემი გიორგი მაისურაძე იტყოდა: რუსთავს ქვევით არის ღრმა ღელე, რომელიც დიდვრიან და ხშირი ეკლით ყოფილა დაფარული. იქ იმალებოდნენ ლეკები, ამიტომაც ლეკთა ხევს ეძახიან. მინდორზე რაკი ვინმე გამოჩნდებოდა, დაიჭერდნენ და რუსეთში ჰყიდდნენ. სწორეთ მაშინ პაპაჩემი და რამოდენიმე გამოქცეულიყო. მამაჩემი რომ გამოქცეულიყო, რუს მებატონეს ლეკებისთვის მოეთხოვა, ან ფული და ან კაცი მომიყვანეო.

ლეკები წამოვლენ და ისევ მეორეთ დაიჭერენ და წაიყვანენ. პაპაჩემი ორ-სამ ნელიწადს დარჩება, მერე ისევ გამოიქცევა. ამიტომაც პაპაჩემს „რუსეთელს“ ეძახდნენ.

***

დღევანდელი მუსხის მიჯნაში ყოფილა ექვსი სოფელი: მუსხი, ძველა მუსხი, ზეფენაი, თელვანა, პატრაშენი, ძველ წითელ კლდე.

ამ დროს შემოსულა იენგიჩარები. დაბანაკებულან ძველა მუსხის გვერდით, რომელსაც დღესაც ეწოდება „იენგიჩარების ყანები“. იმ იენგიჩარებს აუოხრებიათ ეს ექვსი სოფელი, – ქვა-ქვაზე აღარ გაუჩერებიათ, მხოლოთ ვინც გადარჩენილან, ამ ექვს სოფლიდან მოგროვილან დღევანდელ მუსხში. მუსხში ქართველების მოშენების შემდეგ, რაც ყველი-ერბო თუ ფული გვქონდა, იენგიჩარებისთვის ვინახავდით. იენგიჩარები რომ მოვიდოდნენ, სულ ერბოიანი ფლავი უნდა გვქონოდა, ცხენებისთვის ბლომათ ქერი. მერე იტყოდნენ: თქვენი პური რომ ვჭამეთ, ჩვენც კბილები გაგვიცვდა და ცხენებსაცაო. აბა, ამათ ფულს შიშით იმავე წუთს ვაძლევდით. ხალხს ძალიან გაუჭირდა სხვა გადასახადებისგანაც, ოჯახში თითოეულ კაცს უნდა გადაეხადა 35 ყურუში (შაური) და წელიწადში მთლიანად ოჯახი ამდენ ფულს ძლივს შოულობდა, თუ ორი-სამი ძმა იქნებოდა, რა უნდა ექნაო? ვინც გათათრდებოდა, ის გადასახადებისაგან თავისუფალი იყო. მაგალითად მუსხიდან გათათრდნენ თომა, ანუ თორომან, სიმონ მაისურაძე – უსეინაია, ხოლო ქურდაძე – სვილეიმანაი, ისიდორ ქურდაძე – ალიაი, ქიტე ქურდაძე – იბოი. ქალა თაფის ხანდაკში რომ ხალხს ჩაჰყრიდნენ, ცოცხალ ხალხს დაყრიან ძირს, ზედ წააყრიან მიწას და ფერხულს დააბებენ, – ძლივს გავტყეპეთო, – იტყვიან მერე.

***

თამარ დედოფალი მურვან ყრუს (?) რომ დაამარცხებს, შამანდის მიარეკებს, მურვან ყრუ სთხოვს შერიგებას. თამარ დედოფალი აძლევს ორ წინადადებას: თუ შენ მრევლს ქალის ლეჩაქს დახურავ და მეორე – ქალულათ დაყუყულ მოაფსმევინებ, შეგირიგდებიო. მურვან ყრუმ ეს შეასრულა, რის ნიშნათაც დარჩენილმა თათრებმა სარეღი მოიხსნეს და დაყუყული მოფსეს. ამიერიდან მურვან ყრუც დაადგა პოლიტიკურ გზას, – თავის სამფლობელო რომ გამოეხსნა, მოინდომა ხალხის გამრავლება.

გასცა ბრძანება, რომ თითო კაცს შეერთო შვიდი ქალი. 40 წელიწადში გამრავლდა იმდენად, რომ უთვალავი გახდა. შემოესივნენ საქართველოს და ააოხრეს.

***

ისაკ მაისურაძე მოგვითხრობს: 1815 წელს როცა სოფელ მუსხის ხიდი კეთდებოდა, დიდძალი მრევლი იყო შეკრებილი სამუშაოთ, როგორც ქართველები, ისე თათრები. შუადღის დასვენებისას ლაპარაკი ჩამოვარდა რჯულის შესახებ. ერთმა თათარმა მითხრა: ქართველები მურტლები ხართო, ხელფეხ დაუბანავი ..... ისე შედიხართ ეკლესიაშიო, რას უნდა გავდეს თქვენი ეკლესიაო. მე ვუთხარი: მართალია, ძაღლს რომ შეხედო სუფთა ტრ---ზე, არაფერი აქვს, მაგრამ ცხვარი კი მთლად ატურტლულიაო. ძაღლი ძაღლიაო და ცხვარი კი სპეტაკი, სუფთა ყურბანიაო. ამ სიტყვაზე მთელი თათრები წამოიშალნენ საჩხუბრათ, მაგრამ ისინი როგორც დამნაშავენი, ისევ გაჩერდნენო.

ჩაიწერა ვახტანგ სუდაძემ 1937წელს. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ე.N3997, მოგვაწოდა გრიშა ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა 2018 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები:
ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com